№ 4

1877—1905

№ 4

კვირა, 20 თებერვალი.

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 20 თებერვალი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

55

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 15 თებერვლიდან წლის დამლევამდის 8 მან. 50 კაპ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმენი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. უ ჩიქოვანი—9 საათიდან 10 საათამდე—თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. ხოლოდაშვილი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობანი.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და სახებით ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი—7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (ურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს ექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памяти Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი მილოვისა, № 5.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ხ. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

აბონემენტის გარეშე.
სახაზინო თეატრი.
სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა.
ხუთშაბათს, 24 თებერვალს,
→ **ბენეფისი კ. მესხისა** ←
ვ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
პირველად ცნობილი პიესა
რუი-ბლაზი,
დრ. 5 მოქმ. ვ. ჰიუგოსი, თარ. პ. ყიფიანისა და კ. მესხისა.
მონაწილეობენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ნ. ჩხეიძე, მესხი და სხ. ბ-ნნი ვ. მესხიშვილი, მესხი, გუნია, სვიმონიძე და სხ.
რეჟის. კ. მესხი.

სახაზინო თეატრი.
ანტრეპ. საიმპ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.
კვირას, 20 თებერვალს, ორი წარმოდგენა:
დილით „პიკოვაია დამა“,
ოპ. 3 მოქმ. 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.
მონაწილეობას მიიღებენ: დიმიტრიევა-პსაკოვსკისა, ტომსკაია, მიხაილოვა, ბუნაკოვა ხარიტონოვა; ბ-ნი: სიკაჩინსკი, კომაროვი, დემიანენკო, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი და მურატოვი. დასაწყისი დილის 12½ საათზე. კაპელმეისტერი ეიხენვალდი. უფროსი რეჟისორი გეცევიჩი.
საღამოს წარმოდგენილი იქნება
„M-lle ნიტუში“.
კომიკ. ოპერა 4 მოქმ., მუსიკა გერვესი.
ორშაბათს, 21 თებ.—ბაქოელ ღარიბ სომეხთა სასარგებლოდ წარმ. იქნება „ევგენი ონეგინი“. გამგე კელლერი.
ბილეთები იყიდება.

საყურადღებო დეპეშა.

—

დღევანდელ დეპეშებში მკითხველი ნახავს საშინაო საქმეთა მინისტრის სახელზე გამოცემულ უმაღლეს ბრძანებას, რომელიც დიდად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. უმაღლესი მთავრობა აცხადებს, რომ იწვევს „საზოგადოების“ წარმომადგენლებს იმ რეფორმების შესახებ სათათბიროდ, რომლებიც რუსეთში უნდა იქმნეს შემოღებული. დეპეშაში გადაჭრით არაა ნათქვამი, მაგრამ მაინც ნათლად სჩანს, რომ ეს „მოწვევა“ ის „საერო კრება“ იქნება, რომელზედაც ამ უკანასკნელ ხანებში ლაპარაკობდა პრესსა და საზოგადოება. ამ კრებამ უნდა გამოარკვიოს, თუ რა ფორმისა და სახის უნდა იქნეს რუსეთში სამერმისო პოლიტიკური წეს-წყობილება და რა გვარს საფუძველზე უნდა მოეწყოს სახელმწიფოში მოქალაქობრივი უფლებები და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრება.

როგორც ეტყობა, ამ ბრძანებით საერო კრების წევრთ მხოლოდ რჩევის მიცემის უფლება ეძლევათ და არა საკითხის გადამწყვეტი ხმა. დეპეშაში არ არის აგრეთვე ნათლად ნათქვამი, ამ „კრება“-ში რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეთა და ხალხთა წარმომადგენელთ ექნებათ ადგილი და ხმა, თუ იგი მარტო შიდა გუბერნიებში არჩეულ კაცებისაგან უნდა შეადგინონ. ეს საკითხი ჩვენთვის, არა რუსთათვის, ფრიად მწვავე და დამაფიქრებელია... დეპეშა გაკვრით ამბობს, რომ რუსეთი სხვა-და-სხვა ხალხებისაგან შესდგება, რომელნიც მოქალაქობრივ განვითარების სხვა-და-სხვა საფეხურზე დგანან, და ამიტომ ცვლილება და რეფორმები მათში თანდათანობით უნდა გავრცელდესო...

არ ვიცით, რომელ «საფეხურს» აკუთვნებენ კავკასიას და კერძოდ საქართველოს. იქნება,—ვინ იცის,—ეს „საფეხური“ ძალიან დაბლად იგულისხმონ და ჩვენ სრულიად გამოგვრიყონ და ცარიელზე დაგვანარჩუნონ...

საუბედუროდ, ამის ნიშნებს ეხლავე ვხედავთ. როგორც ამბობენ, გადაწყვეტილია, რომ კავკასიაში ნამესტნიკობა იქმნეს შემოღებული და ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა და სვე-ბედი ერთ უმაღლეს მმართველისაგან შეიქმნას დამოკიდებული. ეს იმას მოასწავებს, რომ, რუსეთში ცვლილებისა და რეფორმების შემოღების დროს, კავკასიისთვის უნდა შემოიღონ განსაკუთრებული მართვა-გამგეობის წესი და კანონები, რომელიც ძირითადად ეხლანდელ ვითარებისაგან ბევრით არაფრით იქნება განსხვავებული.

დიაღ, მკითხველო, დღეს ისეთი დრო დაგვიდგა, რომ დიდი ფიქრი და ზრუნვა გვმართებს. ეხლა ყურის წაყრუებას და უმოქმედოდ დარჩენას, იქნება, ახლო მომავალში ისეთი შედეგი მოჰყვეს. რომელიც შთამომავლობამ თავის დღეში არ გვაპატიოს.

ნუ თუ მთელი ჩვენი ერი...—მაგრამ რას ვამბობ?—ნუ თუ საერთოდ კავკასიის ყველა ერები ისე უძლურნი და დავრდომილნი ვართ, ისე, დაქსაქსულად და შეუგნებლად ვცხოვრობთ, რომ არ შეგვიძლია შეერთებულის ძალით საერთო ინტერესების ცოტათი მაინც დაცვა და მათი ცხოვრებაში გადატანის ენერგიულად მოთხოვნა? რომ სიბნელემ გაიმარჯვოს და მართლა უკულტურობისა და ველურობის მოწმობა მოგვცენ, ნუ თუ მშვიდად უნდა ვატაროთ ეს მოწმობა და ბედს უსიტყვოდ დაემორჩილოთ?

კიდევ ვიმეორებთ: ეხლანდელი მომენტი ფრიად სერიოზულია, რომელიც მოითხოვს ჩვენგან დიდს სიფხიზლეს და ცოცხალ საქმიანობას. როგორც ჩვენი ერისა, ისე კავკასიის ყველა ერთა ძალ-ღონე დღეს ამ მთავარ სურვილით უნდა იქმნეს შეერთებული და შეკავშირებული,—რომ ჩვენი მხარე რეფორმებს არ მოსწყდეს და განახლებულ წეს-წყობილების სფერისგან არ დარჩეს გამორიყული...

საუბარი

რა დაგიმალო, მკითხველო, ამ უკანასკნელ დღეებში დიდ განსაცდელში ვიყავით.

დაძაბულის ნერვებით, აუტანელის გულის ლევით მოველოდით, რა მსვლელობას მიიღებდა ის ღრუბელი, რომელიც თანდათან ჩვენს თავზედ იკრიბებოდა.

ამ ჟამად იგი, ცოტა არ იყოს, გაიფანტა და გულში იმედი ჩაგვესახა, რომ აღარც მოზღვავდება.

კაცმა პირი მალა და ჭირმა თავი არ დამალო—ნათქვამია. ნურც ჩვენ დავმალავთ ამ ჭირს.

მკითხველმა იცის, ეს ოთხი წელიწადია გურიაში მოძრაობაა ხალხისა. ნუ ვეცდებით და სახელს ნუ გამოვუძებნით ამ მოძრაობას,—დე რა ხასიათისაც უნდა იყოს იგი, ეკონომიური თუ პოლიტიკური—ეს სულ ერთია ჯერ ჯერობით. ვიცოდეთ მხოლოდ, რომ ეს მოძრაობა მეტის მეტად რთული მოვლენაა, რომელიც თანდათანობით იზრდებოდა და რომლის დვრიტა, ეჭვგარეშეა, ხალხისვე გათვითცნობიერებაა.

გურია კულტურულად ძლიერ დაწინაურდა, დიდ მანძილზედ გაუსწრო მან ქართლსაც, კახეთსაც და იმერეთის სხვა კუთხეებსაც. მეტსაც ვიტყვით: გურიის კულტურული დამწიფება იშვიათი ნიმუშია თვით განათლებულ ქვეყნებშიაც-კი.

ეს დაწინაურება გარეგნული, ზედა-პირული როდია. მას ღრმა შინაარსი აქვს და მის გამოცნობისა და დაფასებისათვის აღარ ვარგა ის საზომი, რომლითაც აქამდის ხალხისათვის ვითომდა—მზრუნველი ბიუროკრატია აფასებდა და ჰზომავდა.

დიდი რამ არის, როდესაც ხალხი—ეს ერთეული გამომეტყველება მრავალ ძალთა კავშირისა,—როგორათაც ცალკე ადამიანი, განიცდის და შეიგნებს, რომ მისი სულიერი ავლა-დიდება აღარა თავსდება იმ ყალიბში, რომელიც შეუქმნია მის ცხოვრების მოდარაჯე გარეშე ძალას.

გურიამ უკვე განვლო ის გამოურკვეველი ხანა ტორტმანისა და მთქნარებისა, რომელიც კერძო ადამიანის ცხოვრებაში მოგაგონებთ ძილისაგან გამოფხიზლებას, როდესაც თვალებ-ახილულ ადამიანს ჯერ კიდევ ძილი ებღაუჭება და მან არ იცის რა ჰქნას, ისევ დაწვეს და დაიძინოს თუ ფანჯარაში შემოვარდნილ მზის სხივებში გაეხვიოს.

გურიამ განვლო-მეთქი ეს ხანა. თითოეულმა გურულმა ცალკე და საერთოდ კი მთელმა გურიამ კარგად იცის, რაც უნდა, რაც შეადგენს მის ცხოვრების ქვა-კუთხედს.

იქნება გურულთა უმეტესობამ არ იცოდეს, რა არის ბიუროკრატია—ეს აბსტრაქციული სახელწოდება უწყებულ შემეცნებისა,—მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან კარგად იცის ამ აბსტრაქციის რეალური გამომეტყველება.

მან კარგად იცის ის გაუთავებელი გრეხილი ხალხის დარაჯთა, უცნაურის თანდათანობით ერთმანეთზე გადაბმულთა, რომლის დაბალ საფეხურზედ სდგას „სტრაჟნიკ-ურიადნიკი“ და მაღალ საფეხურზედ კი თბილ კაბინეთში მაგიდასთან მჯდარი დიდი ჩინოსანი, «კანონპროექტების» შემდგენელი.

მას ჯეროვანად აქვს შეთვისებული ის აზრი, უფრო მართალი-კი რომ ვსთქვათ, ნაწვნევი, რომ ერთის მათრახი და მეორის კალამი თანაბრად მოქმედებენ და რომ კაბინეთში კალმის წრიპინი ხშირად ჰარმონიულად უერთდება სოფელში მათრახის ტკაცა-ტკუცს.

გურულმა დიდი ხანია განიცადა, რომ მისი მართალი სიტყვა იშვიათად თუ აღწევს მოსამართლესა და სასამართლომდის, რადგანაც ეს სიტყვა თვისს მიმდინარეობაში შუაზე წყდება მოენემდის მისული და ამ უკანასკნელის გონებაში და სინიდისში იწყებს ახალ დენას, მხოლოდ ხშირად იერ-გამოცვლილი და ბევრჯელაც სულ სხვა აზრიანი. და თუ აღწევს შეურყეველი, მაშინაც იშვიათად ჰპოვებს თანაგრძნობას და კანონიერ დაკმაყოფილებას.

გურიის სოფლელებს მრავალ ხნის გამოცდილება ეუბნება, რომ ის კუდა, თვითმართველობის სუსტი ნასახი უფლება, რომლის ძალითაც მათ ნება ეძლევათ თავიანთი შინაური საქმე განაგონ, სამართალი ჰქმნან და მოხელეები ამოირჩიონ,—მრავალ გზით იკრიჭ-იკვეცება გუბერნიის და მაზრის მოხელეთაგან, თითქმის სრულიად უქმდება. ამის გამო იმათ თვალში ჰკარგავს ღირსებასა და მნიშვნელობას.

ცოდო გამჟღავნებული სჯობიაო—ამბობენ.

ფელეტონი

ციხე შიგნიდან გატყდება!..

—

იტყვიან, ადამიანს პირველ-იანვარს ზოგიერთი რამ თვისება დაეკვებებაო... არ მჯეროდა, ცრუმორწმუნეობად მიმაჩნდა, მაგრამ ეხლა, უნდა გამოვტყდე, ცოტა ეჭვი მეპარება ჩემს ურწმუნოებაში და ვფიქრობ,—იქნება ხალხის თქმულება მართალიც იყოს-მეთქი. ვფიქრობ ამას იმიტომ, რომ ამ წელიწადში ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ იძულებული გავხდი რამდენისამე ფაქტის გამო საზოგადოების წინაშე ბოდიში მომეხადა და „pardon“-ი მეთხოვა. ვინ იცის, იქნება ახალწელიწადს ვინმეს წინაშე შემთხვევით სიტყვა „pardon!“ ვთქვი,—ბოდიში მოვიხადე და შემდეგ კი ეს „ბოდიში“ დამეკვება და აღარ მშორდება!..

მოგახსენებთ რიგ-რიგზე. ამ წლის დამდეგს გამოჩნდა ჩვენში ისეთი კაცი, რომელსაც შეეცოდა „ივერია“, დაენანა მისი სავალალო მდგომარეობა და ისურვა გაზეთი ისეთ გარემოებაში ჩაეყენებინა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი გამოცოცხლება და გაუმჯობესება. გამოჩნდა მეორე კაციც, რომელმაც გაზეთის გამომცემლობით საქმეში დაახლოვებული მონაწილეობა იკისრა. მომმართეს ჩემთვის ფრიად საპატიო წინადადებით, ამეღო ერთ-ერთ მთავარ თანამშრომლის როლი და გამეწია გაზეთისთვის ლიტერატურული პატრონობა. რასაკვირველია, მე უცხოზე უფრო უკეთ ვიცოდი და ვიცი ჩემი მცირე ძალღონე და არას დროს გულში ფიქრად არ გამივლია, ჩემის შრომით გაზეთს იმდენი ღირსება მიემატოს, რომ იგი იდეალურ და საქებარ ორგანოდ შეიქნეს და როგორც საზოგადოებისა, ისე იმ საპატიო პირთა განვითარებულ გემოვნებისა და მაღალ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი გახდეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიფიქრე, რომ [illegible] არ მქონდა არ დავთანხმებულიყავი და [illegible] იმოდენა დახმარებაზედაც კი, რამდენსაც ჩემი სუსტი ძალა შესძლებს და უნარი მისწვდება. განვაცხადე თანხმობა, რომ ვიკისრებდი გაზეთის რედაქტორობას. ამის მიხედვით „ივერიაში“ დაიბეჭდა განცხადება, რომელშიაც საზოგადოებას ატყობინებდნენ, რომ 14 იანვრიდან გაზეთი სხვის ხელში გადადის და ახალის რედაქციით გამოვაო.

მაგრამ მოგეხსენებათ ანდაზა: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. გარეშე—ადმინისტრაციისაგან დამოკიდებულ მიზეზის გამოისობით, ვერ მოხერხდა, რომ გაზეთი 14 იანვარს ახალ რედაქციის ხელში გადმოსულიყო. დანიშნული ვადა გავიდა და გაზეთი მაინც ძველს პირობებში იყო. გამიხდა საქმე საბოდიშოდ: ყველა ნაცნობის წინაშე ბოდიში უნდა მეხადნა დაგვიანებისათვის. ეხლაც ვსარგებლობ შემთხვევით და რედაქციის სახელით ამ წარსულ ამბისთვის ხელ-ახლა ბოდიშს ვიხდი...

ეს ერთი ბოდიში.

მაგრამ წრევანდელმა წელიწადმა ეს ერთი საბოდიშო საქმე არ მაკმარა... როგორც იქმნა, გარემოება მოეწყო ისე, რომ შევიძლით საქმის დაწყება და დაპირებულის აღსრულებისათვის ზრუნვა-მუშაობა. 13 თებერვლის ნომერში გამოვაცხადეთ, რომ 15 თებერვალს გაზეთი გადიდებულის ზომისა გამოვაო. აბა როგორ წარმოვიდგენდი, რომ ბედი აქაც მიმუხთლებდა და ერთხელ კიდევ წამაბორძიკებდა. მაგრამ მოხდა მოულოდნელი. იმ დროს, როცა აწყობილი ნომერი მაშინაზე გატანილი იყო და იბეჭდებოდა, ჩემდა საუბედუროდ, მანქანამ მიღალატა,—გატყდა და აწყობილი, საღებავით გამურული ტყვიის ასოები დაზგაზე დამიტოვა, ჩემს გასაბრაზებლად და მეორე დღეს უთვალავ ბოდიშების მოსახდელად. მოვიხადე ეს მეორე ბოდიშიც და ვფიქრობდი, რომ, მოკლე დროში მაინც, აღარ მომიხდებოდა განმეორება.

მოლოდინი აქაც არ გამიმართლდა. დღეს ვილებ კალამს ფელეტონის დასაწერად და იძულებული ვარ სწორედ ისეთ საგანზე ვილაპარაკო, სადაც თავშივე ერთხელ კიდევ უნდა ვიბოდიშო საზოგადოებასთან. პირველი ორი ბოდიში, რახან ლაპარაკმა მოიტანა, უფრო წინასიტყვაობად ჩაითვლება, ხოლო ეს მესამე კი პირდაპირ დღევანდელ წერილის საგანს შეეხება.

მკითხველმა იცის, უეჭველია, რომ დღეს ახალის პროგრამით სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენა სრულიად გამოდევნილია. ამ პროგრამის შემდგენელნი ხელმძღვანელობდნენ იმ აზრით, რომ ვითომ მეგრელები ქართველები არ არიან და ამიტომ მათს სკოლებში ქართული ენა, ვითარცა დედა-ენა, არ უნდა არსებობდესო. ცხადია, ეს მხოლოდ ზერელე ხელ-ჩასაჭიდი საბაბია, რომელსაც ნამდვილად არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს. ჩვენ ყველანი ქართველებად და ჩვენს თანამოძმეებად ვთვლით მეგრელებს და თვითონ მეგრელებიც ქართველებად სთვლიან და გრძნობენ თავის თავს. მაგრამ ენის შესუსტება ერის დასუსტებას ნიშნავს და ამიტომ ზოგიერთ ჩვენ „მოყვრებისათვის“ ხელსაყრელი იყო მეგრელების ვითომ არა ქართველობა და ამ საბაბით მათი სკოლებიდან ქართული ენის გამოძევება.

ეხლანდელი სასკოლო პროგრამის შემუშავება ერთისა თუ ერთ-ნახევრის წლის-წინად დაიწყო ადგილობრივმა სასულიერო მთავრობამ. მაშინ ამის გამო დიდი მითქმა-მოთქმა იყო ჩვენს საზოგადოებაში გამართული. სხვათა-შორის, გავრცელდა ხმა, რომ ასეთი პროგრამის შემუშავებას და, მაშასადამე, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის მოსპობას ხელს უწყობს ბ-ნი თ. ჟორდანიაო, რომელიც იმ ხანებში გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების მეთვალყურედ იყო და ეხლა იმერეთის ეპარქიაში გამწესებული.

ძნელი დასაჯერებელი იყო ეს ამბავი, თუმცა ბ-ნ ჟორდანიას დამნაშაობას დაბეჯითებით ამტკიცებდნენ ზოგიერთი ყოვლად საპატიო პირები. ამ ბრალდებამ ბ-ნ ჟორდანიას ყურამდინაც მიაღწია და მან მაშინ ერთი პატარა წერილი დაბეჭდა „ივერიაში“ და გამოაცხადა, რომ ეს საზიზღარი ცილის-წამებაა, რომელიც განგებ ჩემმა მტრებმა მომიგონესო. „ეს რამდენიმე ხანია—სწერდა იგი („ივერია“ 1903 წ. № 218)—რაც ჩემთან პირად ანგარიშებით დაბნელებულნი პირნი ჩვენს ქართველ **საზოგადოებაში მრავალგვარ ჭორებს ავრცელებენ და ცილს მწამებენ, ვითომ მე ხელი შემეწყოს სამეგრელოს სკოლებიდან ქართულ ენის განდევნისთვის და მომხრე ვიყო ან ოდესმე ვყოფილვარ მეგრულს ენაზედ ან მუნჯურ მეთოდით საგნების სწავლებისა.** მე ამით საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ეს ცილის-წამება მოგონილ-მოჭორილია ჩემის მტრებისგან და **ამ ცოტა ხანში ჩემს სიმართლეს სამუდამოდ დავამტკიცებ. მე აზრადაც არ მომსვლია, არა თუ ვისთვისმე მეთქვას, ვითომ მეგრელნი ქართველები არ იყვნენ და მათი დედა ენა ქართული არ იყოს.** მანამდი კი ყველას ვარწმუნებ, რომ ჩემს სიყრმიდან შეზრდილ სიყვარულს სამშობლო ენისას (ქართულისას) საფლავში თან ჩავიტან და მის ღალატს არავის ვაპატიებ“.

ამას სწერდა სიტყვა-სიტყვით ბ-ნი თ. ჟორდანია. გავიდა ხანი და, მიუხედავად დაპირებისა, აქამდის არავითარი თავის გასამართლებელი საბუთი არ წარმოადგინა. პირიქით, მისი წერილის შემდეგ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ დაბეჭდა წერილი თვით ბ-ნ ჟორდანიას წინააღმდეგ, რომელშიაც იგი, სხვათა შორის, სწერდა, რომ «არ შემიძლია არ მოვაგონო ბ-ნ ჟორდანიას მისი საქციელი, რომელიც მან ჩაიდინა ქ. ფოთში ამ წლის აპრილის ბოლო რიცხვებში და რომლის მოწამენიც ბრძანდებოდნენ: ნ. ნიკოლაძე, ი. ფანცხავა, კ. მიქაბერიძე და მრავალი სხვანიო». სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხცოვანი მღვდელ-მთავარი იმეორებდა ბრალდებას ჟორდანიას წინააღმდეგ.

ბ-ნი ჟორდანია მაინც სდუმდა და ხმას არ იღებდა. მიუხედავად ამისა, მე ბ-ნ ჟორდანიას გამტყუნება პრესსაში ვერ ვიკისრე და ერთ ჩემს წერილში, რომელიც იმ ხანებში დაიბეჭდა, ვთქვი, რომ, თუმცა ჟორდანიაზე საზარელი ხმები გავრცელდა, მაგრამ მე ვრჩეობ მათი სიმართლე არ დავიჯერო და ვიმედოვნებ, რომ ბრალდებული თ. ჟორდანია თავს გაიმართლებს-მეთქი.

აი, ეს სიტყვებია ჩემი დანაშაულობა, რომლისთვის დღეს გულწრფელად ბოდიშს ვიხდი საზოგადოების წინაშე. ბოდიშს ვიხდი, რომ ნამეტანის სიფრთხილით ვიხელმძღვანელე და ბ-ნ ჟორდანიას ზნეობრივი ფიზიონომია იმ წერილშივე შესაფერად არ დავაფასე.

ბ-ნმა ჟორდანიამ შეასრულა თავისი დაპირება, მხოლოდ არა წაღმა, არამედ—უკუღმა. ნაცვლად თავის გამართლებისა, მან ხელში მოგვცა ისეთი საბუთი, რომელიც ყველასთვის ნათლად და ყოველ ეჭვს გარეშე ჰყოფს მის მონაწილეობას სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნის საქმეში. მართალია, ერის მოღალატედ გამოცხადება კაცისა მძიმე სასჯელია, მაგრამ რა ვქნათ,—ეს ჩვენი ბრალი არაა. ხალხში იტყვიან: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, და ეგევე უნდა უთხრას თავის თავს ბ. ჟორდანიამაც.

ბრალდების საბუთი,—ალბად, იკითხავთ თქვენ. ეს საბუთია პატარა წიგნაკი, რომელიც თვითონ ბ. ჟორდანიას ხელით არის დაწერილი და ხელმოწერილი. წიგნაკს ეწოდება «Отчетъ о сост. школъ ц-приходскихъ и грамоты Гурійско-Мингрельской епархіи за 1902—1903 г.“ და ბოლოში მოწერილი აქვს: „სტატსკი სოვეტნიკი თევდორე ჟორდანია“. ეს ისეთი „ანგარიშია“, რომლის მგზავსსაც წარუდგენს ხოლმე იგი თავის მთავრობას ყოველ-წლიურად სამრევლო სკოლების მდგომარეობის შესახებ მისდამი მინდობილს ეპარქიაში. ამ „ანგარიშში“ მკითხველი ნახავს ბევრს ისეთ ადგილებს, რომელიც ძალიან ახასიათებს ავტორს, როგორც მოხელეს და თავის უფროსების მოსამსახურეს.

ცნობილია, რომ ყოველი „ჩინოვნიკი“ მთავრობის წინაშე მხოლოდ იმ საქმეს აქებს და აზვიადებს, რომელსაც თვითონ ადგია. [illegible] ჟორდანია მეთვალყურე ანუ ზედამხედველია სამრევლო სკოლებისა და ამიტომ ეხლანდელი სამრევლო სკოლა მას იდეალ[illegible] მიაჩნია, რომელსაც ღირსებით ვერც ერთი სხვა სასწავლებელი ვერ შეედრება. აბა დაუგდეთ ყური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა კი ქვეყნის ცოდო ბიუროკრატიაა და ვინღა არა დრტვინავს რუსეთის იმპერიაში მძლეთა-მძლე ბიუროკრატიის უღელ ქვეშ.

ამასთანავე ვინ არ იცის, რომ ბიუროკრატია თვისი შინაარსით ემგზავსება იმ ღერძს, რომელსაც ბოლო მოსცვეთია და უსწორ-მასწოროდ ლაღლაღებს მორგვის საცოში, თვალს ვეღარ ატრიალებს, თითონაც ღერძობას ვერ ეწევა და არც სხვას უშვებს საამისოდ.

რუსეთის ქალაქებში კარგად შეიგნეს ესა და იქ კიდეც აცხადებენ პროტესტს ბიუროკრატიულ რეჟიმის წინააღმდეგ.

გურიის დანაშაულობა მხოლოდ ის არის, რომ იქ ქალაქთან ერთად სოფელმაც შეიგნო თვისი დუხჭირი ყოფა და პროტესტი მხოლოდ იმით გამოაცხადა, რომ საკუთარის ინიციატივით მოისურვა იქონიოს წესი და რიგი, „მართალი" სამართალი და თვითმართველობრივი უფლებანი, ურომლისოდაც ეხლანდელს დროში არსებობა ყოვლად შეუძლებელია.

ი. ზ.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

18 თებერვალი.

პეტერბურგი, 18 თებერვალი. უმაღლესი რესკრიპტი შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე.

„ალექსანდრე გრიგოლის ძევ! რუსის ერი უწინდელ ჩვეულების თანახმად, რომელიც ავალებს ჩვენს ქვეშევრდომთა სამშობლოს სიხარულის ან მწუხარების დროს ტახტის წინაშე წარმოადგინონ თავიანთი გრძნობანი, თავად-აზნაურობამ და საერობო კრებებმა, ვაჭართა, ქალაქთა და გლეხთა საზოგადოებებმა ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხიდან მომილოცეს სასიხარულო ამბავი მემკვიდრის დაბადებისა და გამომიცხადეს სრული თავისი მზად ყოფნა და სურვილი შესწირონ მთელი თავისი ავლა-დიდება ომის სასახელოდ გათავებისთვის და მათი ძალ-ღონე სახელმწიფო წეს-რიგის გაუმჯობესობისათვის. მათ უმაღლესობის, ძეულლის ჩვენის და ჩემის სახელით გავალებთ თქვენ გამოუცხადოთ ჩვენი გულითადი მადლობა ყველა კრებას და საზოგადოებას უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოცხადებისათვის, რომელმაც ამ ძნელსა და სამწუხარო დროს მით უფრო გვასიამოვნა, რომ მზად ყოფნა და სურვილი მათი დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ჩემ მიერ გამოცხადებულ ცვლილებათა მოხდენას, სრულს თანაგრძნობას პოულობს ჩვენში, ვინაიდან ჩვენი სურვილია—მთავრობისა და საზოგადოების მომწიფებულ ძალთა შეთანხმებული მოქმედებით განვახორციელოთ ის განზრახვანი, რომელიც ერის საკეთილდღეოდ არის ჩვენ მიერ ცნობილი. განვაგრძობ რა გვირგვინოსანთა წინაპართა ჩვენთა სამეფო საქმეს—რუსეთის მოწყობა-მორიგებისას—მე განვიზრახე შეწევნითა ღვთისათა საკანონმდებლო დებულებათა შემუშავებაში და გამორკვევაში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიო ღირსეული, ხალხისაგან პატივცემული, ხალხისაგანვე არჩეული პირები. რუსეთის მეფენი ბრძნული მოსაზრებით მიიღებდნენ ხოლმე მხედველობაში ჩვენის ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებს, ჩვენ ქვეშევრდომთა სხვა და სხვა ერებად დაყოფვას, ზოგიერთ კუთხეში მოქალაქეობის სუსტს განვითარებას და ყოველთვის საჭირო ცვლილებას ახდენდნენ იმის და მიხედვით, რამდენად იყო გაღვიძებული ცვლილების მოთხოვნილება, ფრთხილად და თანდათანობით, რათა არ გაწყვეტილიყო ისტორიული კავშირი წარსულთან და მომავალ ცვლილებასაც მაგარი საძირკველი ჰქონოდა. ეხლა, ვიწყებ რა ამ ცვლილების შემოღებას, დარწმუნებული ვარ, ადგილობრივ მოთხოვნილებათა ცოდნა, გონიერი და მართალი სიტყვა ამორჩეულ პირთა, ხალხის საკეთილდღეოდ დაწყობილი საკანონმდებლო მუშაობას ნაყოფს გამოაღებინებს. წინდაწინვე ვხედავ, რა რთულს და ძნელს საქმეს წარმოადგენს ამ ცვლილების განხორციელება, რომელიც იმპერიის ძირითად კანონების ხელშეუხებლად უნდა მოხდეს. თქვენი ხანგრძლივი ადმინისტრატიული გამოცდილება ვიცი და ამიტომაც მოგანდობთ თქვენ—შეადგინოთ თქვენის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული საბჭო, რომელმაც უნდა გამონახოს გზა ჩემის ნების ასასრულებლად. აკურთხოს ღმერთმა ჩემი დაწყებული საქმე და თქვენ მოგანიჭოთ ძალა ხალხის საკეთილდღეოდ ამ საქმის ასასრულებლად. დავშთები თქვენდამი კეთილ-განწყობილი. ნამდვილზე მისი იმპერატორობით უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია „**ნიკოლოზ**". 18 თებერვალს 1905 წ. ცარსკოე სელო.

18 თებერვალი.

ლონდონი 18 თებერვალი. გუშინ პალატას სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ ჰქონდა ისევე მსჯელობა. ლიბერალები მრავლად დასწრნენ სხდომას, უფრო ნაკლებად იყვნენ მთავრობის მომხრენი. [illegible] მთავრობას მხოლოდ 26 ხმის უმრავლესობა მისცა, რასაც ოპოზიციის ტაში, კვრა და ყვირილი: „თავი დაანებეთ სამსახურს" მოჰყვა.

პარიზი. შვეციის და ნორვეგიის მეფე ოფიციალურად ტახტის უარყოფის შემდეგ პარიზში დასახლდება და არქეოლოგიისა და ისტორიის შესწავლას მიჰყოფს ხელს.

ბელგოროდი. 18 თებ. გუშინ ვაჟების გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო მოსწავლეთა მშობლებს ეთათბირებოდა სწავლა-აღზრდის თაობაზე.

პეტერბურგი. 17 თებ. სავაჭრო-სამრეწველო წოდების უქვეშევრდომილეს ადრესზე 16 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და საკუთარის ხელით დააწერა: «გულითად მადლობას უძღვნი მოსკოვის სავაჭრო-სამრეწველო წოდებას ამ გაჭირვებულ დროს თავისი გრძნობის გამოცხადებისათვის. ძალიან მიხარიან, რომ ამ წოდებას ჩვენი სახელმწიფო წეს-წყობილების ერთგულება და მორჩილება შერჩენია" ზემოხსენებულ წოდების ადრესი შემდეგია: ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ! შინაური განხეთქილება, რომელმაც მთელი რუსეთი მოიცვა ამ გაჭირებულ დროს, საზოგადოებას აღელვებს და აწუხებს: ამ მძიმე გარემოებაში მოსკოვს ერთად შეკრებილი მოსკოვის სავაჭრო-სამრეწველო წოდება თქვენ იმპერატორებითი უმაღლესობის წინაშე თავის უქვეშევრდომილეს გრძნობას აცხადებს და თავის მოვალეობად რაცხს გამოსთქვას თავისი შეურყეველი რწმენა, რომ მხოლოდ თვითმპყრობელობის ქვეშ შესაძლებელია რუსეთის ძლიერების შერჩენა და მომავალი მისი კეთილ-დღეობა. მას ღრმად სწამს, რომ ღვთის სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული თქვენი ქვეშევრდომნი ერთის საქმით გაერთიანებულნი და თავის ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილნი კეთილ სამსახურს გაგიწევენ და თქვენც მოიკრებთ ღონეს სამშობლოს გაჭირებულ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, მშრომელი სავაჭრო-სამრეწველო წოდება დიდის ხალისით შესწირავს სამშობლოს კეთილდღეობას თავის ძალას და ცოდნას. მას სწამს, რომ ეს გაჭირებული დრო გადივლის და თქვენი სახელი, ხელმწიფევ, საუკუნოდ დარჩება თქვენი მადლობელი ერის მეხსიერებაში.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

18 თებერვალი.

ხარბინი, 17 თებ. ტელინსა და კარან შუა დანგრეული ხიდის ამბავი მოგონილია.

მარსელი, 18 თებ. (რეიტერი). ჩინელების სიტყვით, იაპონელები თითქმის მისულან კიდეც მუკდენთან. რუსებმა იაპონელებს წაართვეს რამდენიმე პოზიცია, მაგრამ ისევ უკუ-გდებულ იქმნენ. რუსებს მაშველი ჯარი მოუვიდათ.

სინმინტინი, 17 თებ. („დეილი ტელ."). ჩინელებმა გასცეს ოთხი იაპონელი აფიცერი და ერთი დარაჯი, რომელნიც გზის გაფუჭებას ცდილობდნენ, რუსებმა იაპონელები დაუყონებლივ დახოცეს. ხვალ აქ იაპონელები უნდა მოვიდნენ.

ტოკიო, 17 თებ. იაპონელების მარცხენა ფრთე წინ გაემართა.

პეტერბურგი, 18 თებ. კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა 16 თებერვლის თარიღით. «დღეს იაპონელებმა დილიდანვე დაიწყეს იერიში ჩვენს პოზიციაზე. ჩვენი რაზმი მაგრად არის. ღამე არაფერი მომხდარა. დილით ისევ დაიწყო ბრძოლა, მაგრამ ჯერ არაფერი შეუტყობინებიათ. ტუნსიხალინის უღელტეხილთან გუშინდელს აქეთ ვიბრძვით, დღეს-კი ჩვენმა რაზმმა მტერზე იერიში მიიტანა ტამაგუშანთან. გოუტულინის პოზიციაზე ჩვენ ისევ ვიგდეთ ხელთ სიმაგრე, რომელიც დილას მივატოვეთ. იაპონელების ბატარეიამ მძლავრად დაგვიშინა, მაგრამ მალე გავაჩუმეთ. უფრო სასტიკი სროლა მიმართულია ნოვგოროდის და პუტილოვის გორაკებისკენ. მოკლულია პოდპოლკოვნიკი მოჟეიკო. გუშინ სოფ. კულიაზთან იაპონელებს ძლიერი იერიში მოჰქონდათ, მაგრამ დიდი ზარალით უკან დაიხიეს. მარცხენა ფრთეზე ერთი როტა იაპონელებისა განადგურებულ იქმნა. გოუტულინის პოზიციისკენ იაპონელები დილიდანვე დიდის იერიშით მოდიან. დღეს 7 საათზე იაპონელებმა იერიში მიიტანეს პუტილოვის გორაკზე, რომელსაც ძლიერ ესროდნენ ზარბაზნებს. გენერალი პუტილოვი იუწყება, პირველი იერიში უკუ ქცეულ იქმნაო. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. მტერი გარს გვივლის, მაგრამ ზომები მიღებული მაქვს".

ტოკიო. შიშობენ, ვაი თუ კუროპატკინმა ისევ უკან დაიხიოს და მხოლოდ მოსაგერებლად შეებრძოლოს იაპონელებსაო; ამიტომ იაპონელები ცდილობენ საბოლოო ბრძოლაში ჩაითრიონ კუროპატკინი. მას შემდეგ, რაც სეიკაიო იაპონელებმა დაიჭირეს, რუსები კინტაოს დასავლეთით აგროვებენ თავის ძალ-ღონეს, რომ მტერს გარს შემოვლა დაუშალონ. რუსებმა მუკდენში 12 ტელეგრაფის მოხელე შეიპყრეს, რომელთაც იაპონელებთან კავშირს აბრალებენ. მშვიდობიანად მცხოვრებმა იაპონელებმა სიონჩიონი მიატოვეს და ჩივიან, მხეცურად გვექცეოდნენო. ცნობა მოვიდა, იაპონიის ჯარის მარცხენა ფრთემაც 22 მილის მანძილზე წინ წაიწიაო. რკინის გზასთან ბრძოლის დროს იაპონელებმა 50 კაცი დაჰკარგეს. იაპონიის ჯარს მრავლად მოეპოვება ხელით სასროლი ყუმბარა. ამ ცოტა ხანში ძლიერ შესანიშნავს ამბავს ელიან; დიდი ბრძოლა უნდა მოხდეს. ეს ბრძოლა უდიდესი ბრძოლა იქნება ეხლანდელ ომის დროს. იაპონიის ახალი სესხი მშვენივრად გათავდა.

სახეტუნი. 16 თებ. საღამოს 7 ს. 44 წუთი. სულ უკანა მარცხენა ფრთეზე მთელი დღე საშინელი ბრძოლაა. იაპონლებმა ორ ადგილას მოიტანეს ჩვენზე იერიში. გარდა ამისა გოუტილინის უღელ-ტეხილზე ჩვენკან დილით მიტოვებული სიმაგრე ხელახლა დავიჭირეთ იაპონელები ყუმბარებს უშენდნენ ორსავე ფრთესა და შუაგულს. პუტილოვის გორაკს (ხიანი გორაკი) იაპონელებმა 2500 ყუმბარა ესროლეს ციხის სანგრევ და საველე ზარბაზნებით. საღამოთი იაპონელებმა მედგრად შეუტიეს რუსთა მარჯვენა ფრთეს.

სახეტუნი, 17 თებერვალი, დილის 9 ს. 40 წუთი. იაპონელები განაგრძობდნენ სატევ ბრძოლას ჩვენს ორთავე ფრთეზედ, ხოლო ღამით კი შეუტიეს ჩვენის ჯარის შუბლსა და იერიში მიიტანეს ერდაგოუს აღმოსავლეთ პოზიციაზედ, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. პუტილოვის გორაკს ჯერ ისევ ძლიერად უშენენ ყუმბარებს. იაპონელებმა ისარგებლეს ნისლ-ბურუსითა და დილის 7 საათზე იერიში მიიტაანეს პუტილოვის გორაკზედ. კიდევ მოელიან ხელახალ იერიშს. პორტ-არტურელი ჯარი გენ. ნოგისა შენიშნეს ორთავე ფრთებისა და შუბლის ჯარის წინააღმდეგ. მარცხენა ფრთეზე ისევაა ბრძოლა. აღმოსავლეთის რაზმმა უკუ-აქცია კუდიაზაზე მიტანილი იაპონელთა უძლიერესი იერიშები. გოუტულინის უღელტეხილზე იაპონელები წინსვლას განაგრძობენ. ორთავე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა. ბრძოლის ბედის გადამწყვეტი შედეგი ჯერ არა სჩანს. მარჯვენა ფრთეზე იაპონელები წინ მოდიოდნენ მდ. ხუნხესა და ლიაოხეს გაყოლებაზე. განსაკუთრებულ-გააფთრებული ბრძოლაა სანტანძის სამხრეთად. სინმინტინში იაპონიის კავალერია გამოჩნდა.

სახეტუნი, 17 თებ., საღამოს 8 ს. 38 წუთი. იაპონელები თავგანწირულებით განაგრძობენ მარჯვენა ფრთედზე შეტევას. ხუნხეს მარცხენა ნაპირზედ გააფთრებული ბრძოლაა. იაპონელთა ოთხმა დივიზიამ შემოუარა ჩვენს მარჯვენა ფრთედს და დღეს მიაღწია სავინპუს, 18 ვერზე მუკდენიდან დასავლეთად. ჩვენი ჯარები გაბედულად შეეგებნენ იაპონელებს და შეაჩერეს მათი წინსვლა.

პეტერბურგი, 17 თებერვალი. იმიერ-ბაიკალის ყაზახთა განსაკუთრებულ ბრიგადის სარდალი გენ.-ად. მიშჩენკო დანიშნულ იქმნა ურალისა და იმიერ-ბაიკალის ყაზახთა შეერთებულ დივიზიის უფროსად.

ჩიფუ, 17 თებ., ნაშუადღევის 4 ს. 5 წუთი. გუშინ ზღვამ ჩიფუს მახლობლად გამორიყა მცურავი ნაღმი. ჩინელებმა ცნობის მოყვარეობით დაუწყეს სინჯვა, ნაღმი აფეთქდა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია 13 კაცი.

პორტ-არტურიდან მოვიდა იაპონიის ორი ნაღმოსანი და მოიყვანა გერმანიის დაღუპულ სამხედრო აგენტის ალიგენჰეიმის ძმა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ომის ამბები. დეპეშებმა საგულისხმო ამბები შეგვატყობინეს: იაპონელთა მარცხენა ფრთემ წინ წაიწია და რუსებს რამდენიმე პოზიცია წაართვა. მაგრამ ყველაზე სერიოზული ამბავი მუკდენის დასავლეთით ხდება. იაპონელთა 4 დივიზია ხუნხესა და ლიაოხეს ხეობით შეუმჩნევლად ავიდა სინგონტინამდე, თვით სინმინტინი აიღო და პირდაპირ მუკდენისაკენ მიდის. თუ ტიანძინიდან მოსულ დეპეშას დავუჯერებთ, იაპონელებმა მუკდენამდე მიაღწიეს და, დღეს თუ ხვალ, დიდი ამბები მოხდება. ასეა თუ ისე, გენ. კუროპატკინის ჯარი დიდ საფრთხეში ჩავარდა და ადვილი შესაძლებელია, რომ გზა მოეჭრას და რუსების საქმე ძალიან ცუდად გათავდეს.

ეხლა ირკვევა, რომ იაპონელებს რუსეთის მარცხენა ფრთეს შემოვლა კი არ უნდოდათ, არამედ მარჯვენასი. თუმცა კუროკიმ 22 მილით წაიწია წინ, მაგრამ ეს მხოლოდ დემონსტრაცია და რუსების თვალის ახვევა ყოფილა. რუსებმა უმთავრესი ყურადღება კუროკის მიაქციეს და ჩრდილოეთისაკენ მიმავალი იაპონიის 4 დივიზია ვერ შეამჩნიეს. (რ. ვ.).

რუსეთის დამარცხების მიზეზი. [illegible] წყისს მთელი ქვეყანა გაკვირდა,—სწერს გაზეთი „დეილ მეილი",—როგორც აზიის პატარა და ნახევრად განათლებულმა ქვეყანამ, იაპონიამ გაბედა და ხმელეთის უდიდეს სახელმწიფოს—ბუმბერაზ რუსეთს ომი გამოუცხადაო! უმეტესობა მაშინვე ცერად უყურებდა იაპონიას და დარწმუნებული იყო, რომ ორიოდე თვის შემდეგ ჩრდილოეთის ბატონი კადნიერსა და თავხედ იაპონიის გასრესავს, გასჭყლეტავს და ზავის პირობებს ტოკიოში დასდებს. რუსეთის რეაქციონური და დაბრმავებული პრესა და მხედრობის უმეტესობა ქვეყანას არწმუნებდნენ, ეხლანდელი ომი რუსეთის ჯარის სეირნობა იქნებაო. იგივე პრესა ზიზღით, სიძულვილითა და სიბრაზით იყო გაჟღენთილი და კუროპატკინს სთხოვდა, დიდსულოვნება, სათნოება და კაცთმოყვარეობა გამოიჩინეთ, გაგიჟებული იაპონია შეიბრალეთ, ბავშური თავხედობა აპატიეთ და ძალიან სასტიკად ნუ დასჯითო. მაგრამ... „იაპონიამ» ცეცხლ-მოკიდებულ რუსეთს ცივი წყალი გადაასხა, აღტაცება ჩაუქრო, ჩააფიქრა და ძილი დაუფრთხო.

მართლაცა და, როგორ და რა სასწაულით მოხდა, რომ 40 მილიონმა 150 მილიონი დაამარცხა, საქვეყნოდ შეარცხვინა და თავზე ლაფი გადაასხა? იაპონია ადგილ-მამულით რუსეთზე 50-ჯერ ნაკლებია, კავკასიაზედაც კი პატარაა, სახელმწიფო შემოსავალი რუსეთის შემოსავალზე სამჯერ თუ ოთხჯერ ნაკლებია, ჯარიც რამდენჯერმე ნაკლები ჰყავს, მაგრამ მაინც გაიმარჯვა, სადაც კი რუსეთის ჯარს შეხვდა—დაამარცხა და წყნარ ოკეანეს, ლიაოდუნსა, კორეასა და პორტ-არტურში ამომავალი მზის ქვეყნის დროშაააფრიალა. პატარა იაპონიის გამარჯვებისა და ბუმბერაზ რუსეთის დამარცხების უმთავრესი და ძირითადი მიზეზი—ორივე სახელმწიფოში სახელმწიფო წესწყობილებისა და რეჟიმის სხვადასხვაობაა. იაპონიის მართვა-გამგეობა დამყარებულია ხალხის ავტოკრატიის პრინციპზე; რუსეთში კი—ლეგიტიმიზმსა და განუსაზღვრელ უფლებით მოცულ ბიუროკრატიაზე. იმ დროს, როცა გაერთიანებულ იაპონიის ერი იმისი წარმომადგენელნი და მთავრობა მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ სახელმწიფოში რაც შეიძლება მეტი განათლება და კულტურა შეეტანათ, დაქუცმაცებულ რუსეთის არა-მკითხე ბიუროკრატია მთელ თავის ძალას ხალხში სიბნელის დაცვას, შინაურ მტრებთან ბრძოლასა და ევროპიდან წამოსულ განათლების სხივების ჩაქრობას ანდომებდა. ბიუროკრატია მთელ თავის ყურადღებას აქცევდა თავის თვითნებობისა და ძალმომრეობის განმტკიცებასა და დაკანონებას. ხალხთან ბრძოლით მოქანცული ბიუროკრატია იაპონიასთან საბრძოლველად ვერ მოემზადებოდა და აკი ვერც მოემზადა. რუსეთი პირველ ხანს არ იყო მომზადებული და ვაფანგოუსთან და ილიუზე დამარცხებას ამით ხსნიდა, მაგრამ დაშიჩაოს რა იყო, ხაიჩენი რაღა იყო, ლიაოიანი, პორტ-არტური და იანტაიც მოუმზადებლობით აიხსნება? სრულიადაც არა! ლიაოიანისა და იანტაის ბრძოლისთვის რუსეთი მშვენივრად იყო მომზადებული და იაპონელებზე მეტი ჯარიც ჰყავდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. რუსეთის მუდმივ დამარცხების ძირითადი მიზეზი ამ ბრძოლების დროს ნათლად გამოჩნდა. როგორ უნდა გაემარჯვნა გაუნათლებელ რუსეთის გაუნათლებელს ხეპრეს, უვიცსა, ყოველგვარ ინიციატივას მოკლებულსა და ღვთის იმედზე აღზრდილს ჯარს? როგორ უნდა დაემარცხებინა უსულო მანქანას განათლებულ იაპონიის განათლებული, მარდი, ცოცხალი, განვითარებული, სამშობლოსადმი სიყვარულით აღფრთოვანებული და საკუთარის ინიციატივით აღჭურვილი იაპონელი ჯარის კაცი? ყოველ ია-

---

«მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხანია, რაც საეკლესიო სკოლები დაარსდა ეპარქიაში,—გვაცნობებს ეს მწყრალ-„ჩინოვნიკი",—ამ სკოლების გავლენა მოწაფეთა აღზრდაზე სარწმუნოებისა და ზნეობის მხრით ძალიან თვალსაჩინოა. საეკლესიო სკოლების მოსწავლენი შედარებით უფრო კეთილის ზნისა და ძლიერის სარწმუნოების მქონენი არიან, უფროსებს პატივსა სცემენ, მღვდლებთან მიდიან ხელზე სამთხვევად, როცა „ჩინოვნიკებსა" და საზოგადოდ მთავრობის წარმომადგენელთ შეხვდებიან,—გაჩერდებიან, ქუდს მოიხდიან და მოწიწებით თავს უკრავენ; ეკლესიაში თავი უჭირავთ „კეთილ-ზრდილად", თავის სწორებთან ქცევა-ლაპარაკში უფრო თავდაჭერილნი არიან. უკვე დამყარდა საზოგადო აზრი, რომ საეკლესიო სკოლების მოწაფენი უფრო კეთილად აღზრდილნი და კარგის მიმართულებისა არიანო". („ანგარიში", გვ. 15).

ასეთია აზრი თ. ჟორდანიასი სამრევლო სკოლების შესახებ: ეს სკოლები ყველა სხვა სკოლებს სჯობია, მაშასადამე, თვით თ. ჟორდანია, რომელიც ამ სკოლების მეთვალყურეა, საუკეთესო და ნაყოფიერ საქმეს ადგია. აი კიდევ მეორე ნიმუში.

„ქალთა ორ-კლასიან საეკლესიო სკოლის გამართვა ძალიან დიდ საჭიროებას შეადგენს,—მოგვითხრობს იგი (გვ. 38). საერო სასწავლებლებში კურს-დასრულებულმა ქალებმა ვერ გაამართლეს მოლოდინი საზოგადოებისა: ქალები გამოვიდნენ სასწავლებლიდან შერყეულის სარწმუნოებრივ შეხედულებით, გულგრილნი სარწმუნოებისადმი, რომელიც შეადგენს ქვა-კუთხედს ზნეობისა, ჭეშმარიტ მოქალაქობრიობისა და ბედნიერებისას".

თქვენ ხედავთ, ჩვენი სკოლების ზედამხედველი ძალიან გატაცებულია ეხლანდელ სამრევლო სკოლებით და ძლიერ აფასებს მათს მნიშვნელობას. იგი ჰხედავს მათში «ჭეშმარიტ» ზნეობის გავრცელების საშუალებას.

მაგრამ ამითაც არ თავდება თურმე საეკლესიო სკოლის მნიშვნელობა და გავლენა. სამრევლო სკოლას შეუძლია თურმე წინააღმდეგობა გაუწიოს „პროპაგანდისტებსაც". აი, ნახეთ და თქვენის ყურით მოისმინეთ. ვთხოვთ მკითხველს, ნუ გვიწყენს, რომ ასე გრძელ ადგილებს ვიწერთ ჟორდანიას „ანგარიშიდან",—ეს ბევრის მხრით საინტერესოა.

«ბლაღოჩინების ახლო ზედამხედველობა და თვალ-ყურის ჭერა საეკლესიო სკოლაზე—სწერია ამ ისტორიულ «ანგარიშში»—გამოწვეულია ეხლანდელ გარემოებითაც, რომელშიაც იმყოფებიან ჩვენი სკოლები, აგერ 5-6 წელიწადია: „ნედოუჩკებს" შორის გაჩნდნენ პროპაგანდისტები ეკლესიისა, სამღვდელოებისა და საზოგადოდ არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ, რომელთაც, მიუხედავად ზედამხედველთა ფხიზელ თვალ-ყურის ჭერისა, აცდინეს წელს ორი მასწავლებელი. განსაკუთრებით საშიშია პროპაგანდა ოზურგეთის მაზრაში. ამიტომ საეპარქიო საბჭომ ხელახლა უნდა მისწეროს ბლაღოჩინებს და სამღვდელოებას, რომ მათ უფრო ფხიზლად ადევნონ თვალ-ყური საეკლესიო სკოლებს და ამ სარწმუნოებრივ განათლების გამავრცელებელ დაწესებულებათა ჭეშმარიტ მოსწავლების გამრავლებით შეამცირონ გავლენა იმ უჰკუო და ბრმა პროპაგანდისტებისა, რომელნიც დაღუპვას უქადიან თვის თავს და ხალხსაც».

დამეთანხმებით, მკითხველო, რომ ეს ადგილი დამწერის დასახასიათებლად ძალიან საინტერესოა. და ასეთი ადგილები უხვადაა გაბნეული „სტატსკი სოვეტნიკის" ნაწარმოებში. მაგრამ სიტყვა გაგვიგრძელდა და სჯობს იმ საგანს დავუახლოვდეთ, რომელმაც ჩვენ ამ წერილისთვის კალამი აგვაღებინა ხელში.

ეს საგანია ქართული, ჩვენი სამშობლო ენა. ბ. ჟორდანია გვარწმუნებდა, რომ „ჩემს სიყრმიდან შეზრდილ სიყვარულს სამშობლო ენისას (ქართულისას) საფლავში თან ჩავიტანო". არა მგონია, ეს სიტყვები ხალხს ჭეშმარიტებად მიეღოს, ვინც ჟორდანიას «ანგარიშში» ამ ადგილს წაიკითხავს: «რუსული წიგნების ბიბლიოთეკა—ურჩევს ჩვენი ავტორი მთავრობას—უნდა შედგენილ იქმნეს შერჩევით; უნდა ვეცადოთ, რომ თხზულებანი იყვნენ ადვილი და საინტერესო შინაარსისა და ადვილი წასაკითხი ფორმის მხრით. **ქართული ბიბლიოთეკა უნდა შედგენილ იქმნეს მხოლოდ სარწმუნოებრივ-ზნეობრივის შინაარსის წიგნებისაგან**, ვითარცა არის: ცხოვრების აღწერა ადგილობრივის და მსოფლიო ეკლესიის წმიდანთა, ქადაგებანი, სარწმუნოებრივი ლექსები, სახალხო პოეზია, ლექსები ზნეობრივისის შინაარსისა და სხვა ასეთი» (გვ. 37).

კარგად ჰქონია ბ-ნ ჟორდანიას „ქართული ენის სიყვარული შეზრდილი სიყრმიდან"... რუსულ ბიბლიოთეკისთვის ყველა წიგნები ემეტება შერჩევით, ხოლო ქართულისთვის-კი მარტო საეკლესიო ნაწერებს სთვლის გამოსაყენებლად. ალბად, დარწმუნებულია, რომ ბავშვები, რომელნიც იკითხავენ ბიბლიოთეკაში წმიდანთა აღწერას, ჩინებულად ისწავლიან თანამედროვე ქართულ ენას.

თუმცა აქ ამოწერილი სიტყვები ცოტა ჩრდილს აყენებს ბ-ნ ჟორდანიას „სიყვარულს ქართულ ენისას", მაგრამ მარტო ეს, რასაკვირველია, არ კმარა, რომ მათს დამწერს სამშობლო ენის ღალატი მივაწეროთ და, მაშასადამე, მეტად მძიმე ზნეობრივი სასჯელი ავკიდოთ. და ჩვენც, რა თქმა უნდა, კრინტს არ დავძრავდით და ბ-ნ ჟორდანიას ზნეობრივ ბრალდებას არ შევუდგენდით, რომ მის „ანგარიშში", რომელზედაც მას, ვიმეორებთ, ხელი უწერია, არ იყოს ისეთი საბუთი, რომელიც ჩვენ ამისათვის სრულს უფლებას გვაძლევს. მკითხველს ვთხოვ ყურადღებით წაიკითხოს ეს სტრიქონები, რომლებიც «ანგარიშის» მე-29 გვერდზე არის დაბეჭდილი.

„სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნის საკითხს სარჩულად და საფუძვლად აქვს მხოლოდ ყველასათვის ნათელი ჭეშმარიტება, საპედაგოგიო აქსიომა, რომელიც თხოულობს, რომ ბავშვებს ყველაფერი გაუგებარი აუხსნან იმ ენაზე, რომელიც მათ ესმით, და თუ **მეგრელთა ბავშვებს უკეთ ესმით თავისი სამშობლო მეგრული ენა**, ვიდრე ქართული, მათთვის გაუგებარ აზრთა ასახსნელად უნდა ხმარებულ იქმნეს მათთვისვე უფრო გასაგები მეგრული ენა. საოლქო და საეპარქიო ზედამხედველნი (ე. ი. დეკანოზი ვოსტორგოვი და თ. ჟორდანია) ყოველთვის მომხრენი იყვნენ დედა-ენისა, რომელიც უნდა იხმარებოდეს, ვითარცა უფრო გასაგები ენა,—გაუგებარ აზრების ასახსნელად, და **რადგანაც მეგრელების სამშობლო ენა მეგრული არის და არა სხვა რომელიმე, ამიტომ არც ერთი სხვა ენა, გარდა მეგრულისა, არ უნდა იქმნეს ხმარებული, როცა მეგრელ ბავშვებს რუსულ ენას ასწავლიან.** თუმცა მეგრელები ქართველთა თემისა არიან, მაგრამ გრძელ საუკუნეების განმავლობაში, ისტორიულ გარემოებათა გამო, მეგრული ენა ისე ძალიან დაშორდა თავის ძირს (ქართულ ენას), რომ დღეს მეგრელ ბავშვს არ შეუძლია გაიგოს ახსნა-განმარტებანი ქართულ ენაზე".

ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, მკითხველო, თუ რა თვალთ-მაქცობას სჩადიოდა ბ-ნი ჟორდანია, როცა იგი ქართულ გაზეთის საშუალებით ჩვენს საზოგადოებას არწმუნებდა: «ცილს მწამებენ, ვითომ მე ხელი შევეწყოს სამეგრელოს სკოლებიდან ქართულ ენის განდევნისთვისო, რომ მე აზრადაც არ მომსვლია, არა თუ ვისთვისმე მეთქვას, ვითომ მეგრელნი ქართველები არ იყვნენ და მათი დედა-ენა ქართული არ იყოსო", და იმავე დროს რუსულ „ანგარიშში" სრულიად ამის წინააღმდეგ აზრს სწერდა. აქ ავტორის წაჯაქ-უკუჯაქობა ისე აშკარაა, რომ ამას მეტი მტკიცება და თავის მტვრევა აღარ სჭირდება.

ბ-ნმა ჟორდანიამ თავის თავს ისეთი საქმე უყო, რასაც მტერი ვერ უზამდა. და ეხლა გვიანღაა „თითზე კბენა" და „ცნობის ფურცელში" დეპეშების გზავნა, რომ «ანგარიში» სიყალბეაო და სხვა. აქ არავითარი სიყალბე არაა,—„ანგარიში" მისი შედგენილია და მისი ზედამხედველობით არის დაბეჭდილი. თუ სადმე „სიყალბეა", ისევ სხვაგან და სხვა რამეში, და არა სტრიქონების გადმოწერაში,—ჩვენ სიტყვა-სიტყვით გადმოვთარგმნეთ ის ადგილები, რომლებიც ზევითაა მოყვანილი.

ყოველ შემთხვევაში მაინც საინტერესოა, ბ-ნი ჟორდანია რას იტყვის და „ანგარიშის" სიყალბეს და თავის სიმართლეს როგორ და რით „დაამტკიცებს"...

ფ. გოგიჩაიშვილი.

საფრანგეთის წარსულიდან

მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საფრანგეთის საპოლიტიკო ცხოვრება ახალ მიმართულებას დაადგა.

ახლად შემოღებული სახელმწიფო წესწყობილება მთელ კაცობრიობისათვის იმდენად მნიშვნელოვანი შეიქმნა, რომ ყველამ საფრანგეთის ხალხისაგან ჩადენილ საქმეს დაარქვა „დიდი" რევოლუცია.

დიდი იყო რევოლუციის დასაწყისი და მისი მსვლელობაც.

საფრანგეთის სხვადასხვა მიყრუებულ ადგილებშიაც გაისმა ამბავი, რომ პარიზი, საფრანგეთის დედა-ქალაქი, აჯანყდა...

აჯანყების მიზეზიც იცოდა ყველამ.

დიდი ხნის მოთმინების შემდეგ გამოაცხადა ხალხმა გადაჭრით თავისი სურვილი, რომ შეიცვალოს არსებული წესწყობილება და ქვეყნის მართვა-გამგეობაში მიეცეს მონაწილეობა ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენლებს...

მთავრობამ ვერ გამოიჩინა სახელმწიფო საქმეებში მართვა-გამგეობის უნარი,—ფინანსების, ფულის მხრივ მაინც საფრანგეთი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა.

სახელმწიფოს ჩვეულებრივი შემოსავალი ვერ აკმაყოფილებდა მის ყველა საჭიროებას. გადასახადი გადასახადს ემატებოდა, ხალხი წელში წყდებოდა, მაგრამ ძალაუნებურად იხდიდა გადასახადებს, როდესაც თავზე წაადგებოდა ულმობელი ხარჯის ამკრები.

როდესაც გადასახადის სახით შემოსულმა [illegible]ლებმა აღარ იკმარა, მთავრობამ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პონელს მშვენივრად ესმის თავის მოვალეობა, თავის მნიშვნელობა და ნათლად აქვს გათვალისწინებული ეხლანდელ ომის აზრი და მიზანი. იაპონელი აფიცერი ხელმძღვანელი მეგობარია ჯარის კაცისა და იმის ინიციატივისა და თვითმოქმედების იმედიც აქვს. რუსეთის ჯარის კაცი კი საზოგადოთ ყოველთვის და კერძოთ—ეხლანდელ ომში მხოლოდ უსულო მანქანა, და მორჩილი იარაღია ისევე უსულო და მორჩილ აფიცრისა. რუსეთის ჯარის კაცს სრულიად არ ესმის ამ ომის მნიშვნელობა და აზრი. ის იბრძვის მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძანებას ვერ წაუვა და მთელი იმის აზროვნება, ფიქრი, სიცოცხლე და ყოველ ნაბიჯის გადადგომაც კი უფროსის ბრძანებაზეა დამყარებული. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ეს უფროსიც იგივე მორჩილებით, რეჟიმითა და იგივე უსულობის პრინციპებზეა აღზრდილი; რუსეთის აფიცერი მთელ თავის სიცოცხლესა და ძალღონეს თავის გარეგნობას, მუნდირსა და ქალებს ანდომებს. იმისთვის ჯარის კაცი მხოლოდ თავის ბრძანების და ობიექტია; აფიცერი და ჯარის-კაცი ერთმანეთისთვის უცხო და გაუგებარ ენით ელაპარაკებიან, ინუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სულაც არ ელაპარაკებიან. რუსეთის ჯარში გამეფებულმა უმცროს-უფროსობის პრინციპმა და იერარქიულმა კიბემ შექმნა უძირო უფსკრული: ამ უფსკრულის ერთ მხარეს დგანან უფროსები, მეორეზე—უმცროსები და უნდათ, რომ შეერთდნენ და იაპონია დაამარცხონ, მაგრამ ეხლა ამ უფსკრულის ამოვსება გვიანღაა: უმცროს-უფროსებს ერთმანეთის ლაპარაკი არ ესმით. ამავე ნიადაგზე აღმოცენდა უფროსების უთანხმოება და შური. ბიუროკრატიამ თავის უსულო იარაღს—ჯარს საჭირო იარაღიც კი ვერ მისცა. ჯერ ამბობდნენ, სამთო ზარბაზნები არა გვქონდა და ბრძოლაც სწორედ ამიტომ წავაგეთო. მერე ბრიზანტის ყუმბარები მოუნდათ, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა და ბრძოლა ისევ წააგეს. ეხლა დიდი ზარბაზნები აკლიათ და დამარცხდებიან კიდეც; მაგრამ საქმე ამაში არ არის: რუსებს საუკეთესო იარაღიც რომ ჰქონოდათ, სულ ერთია, ეს იარაღი იმათთვის გამოუსადეგარი იქნებოდა. როცა ჯარმა იარაღის ხმარება არ იცის, ამ ჯარს თუნდ მაუზერის თოფი მიეცით, თუნდ ჩახმახიანი. რუსეთმა გემები კი შეიძინა, მაგრამ მათი ტარება და მოხმარება ვერ მოახერხა. რუსეთის გაუნათლებელი მეზღვაური რთულს მანქანას—თანამედროვე გემს ვერ მოერევა და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე გემის ხან ერთ ნაწილს გააფუჭებს და ხან მეორეს. რუსები ეგრეც შვრებოდნენ. ზღვაში გავიდოდნენ თუ არა, თავიანთვე ნაღმს აწყდებოდნენ და იღუპებოდნენ, ან ნაპირზე ირიყებოდნენ, ან კლდეს ეჯახებოდნენ და ამრიგად ერთი წლის განმავლობაში პორტ-არტურის ესკადრის დაღუპვას თვითონვე ხელი შეუწყეს. რუსეთი ას მილიონობით ხარჯავს სურსათსა და სამხედრო მასალაზე, მაგრამ რუსეთის ჯარი მანჯურიაში მაინც მშიერ-ტიტველია, ან არა და ჩინელების კაბებითაა მორთული და თავსაც ჩინელებისაგან წართმეულ სურსათით იკვებავს. ამ ჯარს დროზე არც პური მისდის და არც ყუმბარა; ამის მიზეზი კი ყველაზე კარგად რუსეთის საინტენდანტო მოხელემ უნდა იცოდეს.

ეს იყო მიზეზი რუსეთის განუწყვეტელ დამარცხებისა. რუსეთს შეუძლიან დაამარცხოს მხოლოდ თავისთანავე გაუნათლებელი და დაქვეითებული სახელმწიფო; შეუძლიან დაამარცხოს სპარსეთი, ოსმალეთი და ჩინეთი, განათლებულ სახელმწიფოების—გერმანიისა, ინგლისისა, ამერიკისა, საფრანგეთისა და იაპონიის დამარცხება არას დროს არ ეღირსება. რუსეთი თითქმის ყოველ დღე აცხადებს, ევროპის განათლება არ მინდა და არც განათლდებიო; ამიტომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი არა თუ ვერას დროს ვერ გაუსწორდება განათლებულ სახელმწიფოებს, არამედ ვერც კი დაიწევა და ამიტომ ყველა განათლებული სახელმწიფო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რუსეთი მხოლოდ რუსეთისთანავე გაუნათლებელ ოსმალეთისა და ჩინეთისათვის იქნება საშიშ (ნ. ღ.).

გენ. კუროპატკინი და გრიპენბერგი. „ეკოდე-პარი“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: პეტერბურგში დაჟინებით ლაპარაკობენ და ირწმუნებიან, რომ გენ. კუროპატკინი რუსეთის ჯარის მთავარსარდლობას თავს ანებებსო. იმავე გაზეთს პეტერბურგიდან ატყობინებენ: ხმა დადის, გენერალი გრიპენბერგი ისევ მანჯურიაში წავა და ისევ მეორე ლაშქრის უფროსობას ჩაიბარებსო. (რ.).

რუსეთის ჯარი მანჯურიაში. „რუს. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველის აზრით რუსებს ამ ჟამად მანჯურიაში ჰყავთ თითქმის 500.000 კაცი და 1500 ზარბაზანი აქვთ. მარტის დამდეგს კუროპატკინს ეყოლება 547.000 კაცი და ექნება 1774 ზარბაზანი.

ახალი ამბავი

◆ ცნობილ ქველ-მოქმედ ძმებმა **იაკობ, ლევან და პეტრე კონსტანტინეს ძეთ ზუბალაშვილებმა შესწირეს სამი ათასი მანეთი** ბაქოში მომხდარ სისხლის ღვრის მსხვერპლთა დასახმარად ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად.

◆ ჩვენ პეტერბურგიდან მივიღეთ დეპეშა, **კავკასიის ნამესტნიკად** არის დანიშნული **გრ. ვორონცოვ-დაშკოვი.**

◆ როგორც გავიგეთ, თავ. ა. სუმბათოშვილს უცნობებია ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობისათვის, რომ თავის დრამას **„ღალატ“-ს ქართულ ენაზე საკუთრებად აძლევს საზოგადოებას** და ამასთანავე უთხოვნია, ყოველგან დაიცავით ხოლმე პიესის ინტერესებიო.

◆ ჩვენის მწერლის, დავით ერისთავის მემკვიდრეებმა საკუთრებად მისცეს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას **ყველა ნაწარმოებნი განსვენებულის დავით ერისთავისა.**

◆ „კავკაზ“-ის ოფიციალურ ნაწილში **დაბეჭდილია** შემდეგი ორი ბრძანება მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებლის გენ.-ლეიტ. **მალამასი:** 1) «მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ 18 თებერვალს კეთილ-ინება და ბრძანა,—ქალაქ ბაქოსა და მისს გუბერნიაში შემოღებულ იქმნას საომარ დროის წესები. ამასთანავე მე მომენიჭა უფლება დავნიშნო გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე ჩემგან ამორჩეული კაცი. ვაცხადებ-რა ამ უმაღლესს ბრძანებას საყოველთაოდ, წინადადებას ვაძლევ გენერალ-ადიუტანტს თავ. ი. გ. **ამილახვარს** ეხლავე **შეუდგეს ბაქოსა და ბაქოს გუბერნიის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობათა** აღსრულებას. 2) „რადგანაც გურიისა და მის ახლო-მახლო მიდამოებში მცხოვრებთა მღელვარება არა სცხრება, საჭიროდ ვსცანი **განვაცალკეო ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნიისაგან, ხოლო კინტრიშის ნაწილი—ბათუმის მხარისაგან** და დავუმორჩილო სამოქალაქო მართვა-გამგეობის მხრივ—სანამ ხსენებულს ადგილებში არ იქმნება აღდგენილი სრული წესიერება—კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში ჩარიცხულ გენ.-მაიორს **ალიხანოვს, რომელსაც მიენიჭება გუბერნატორის უფლება**“.

◆ ამას წინად დაბეჭდილი გვქონდა ცნობა, რომ გაზ. **„ჩერნომ. ვესტ.“-ს** ბათუმელი ქართველები იძენენო. ეს მართალი არ გამოდგა. ეხლა დანამდვილებით გავიგეთ, რომ ხსენებული გაზეთი ბ-ნ **ალ. ნიკიტინს უყიდნია.**

◆ გუშინ, 19 თებერვალს, სიონის ტაძრის გალავანში **დაასაფლავეს გორის ეპისკოპოსი ბენიამინი.**

◆ როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, 14 თებერვალს ქუთაისში **მომხდარ მანიფესტაციის დროს** საზოგადოების მხრით მოუკლავთ 5 კაცი, ხოლო დაჭრილია 26-ზე მეტი.

◆ 16 თებერვალს, სახაზინო თეატრში საიმპერატორო თეატრის არტისტი ქ-ნ **პაპაიანის მონაწილეობით,** საოპერო წარმოდგენა იქმნა გამართული ქართულ დრამატიული საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენას საზოგადოებისთვის ზარალი მიუცია.

◆ 15 თებერვლიდან ტფილისის **სასულიერო სემინარიაში სწავლა შეწყვეტილია.** როგორც გავიგეთ, რამდენსამე ქართველს მოლაპარაკება გაუმართავს სემინარიის მთავრობასთან მოსწავლეების საჭიროებათა შესახებ. აზრად აქვთ, სთხოვონ ჯერ ტფილისის გუბერნატორს და შემდეგ საქართველოს ეგზარხოსს, რომ **სემინარიაში სწავლა მოკლე ხანში ისევ დაიწყოს.**

◆ ელექტრონის ტრამვაის დირექცია განუზრახავს ტრამვაიზე მომუშავეთა მდგომარეობა გააუმჯობესოს ჯამაგირების მომატებითა და სამუშაო დღის შემოკლებით. როგორც გადმოგვცეს, მოლაპარაკება დირექციასა და მომუშავეთა შორის ამ ორ დღეში გაიმართება.

◆ გუშინ, 19 თებერვალს, **ფუნიკულერის საზოგადოებამ** სთხოვა ტფილისის გამგეობას შეამოწმონ აშენებული ლიანდაგი ტეხნიკურის მხრით.

◆ ფუნიკულერის საზოგადოება აპირობს მოაწყოს ზაფხულამდის **მამა დავითზე თეატრი, რესტორანი** და სხვა. ბ-ნი არაფელოვი აპირობს იქვე **სასტუმრო** ააგოს.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში ბ. მამულაიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კერძო კრება, რომელმაც დაასახელა **კანდიდატებად მოქალაქეთა მამასახლისის** თანამდებობაზე: ადამიძე, დანდუროვი და არაქელიანცი.

◆ დიდ-მარხვაში **ქართული ფილარმონიული საზოგადოება** კონცერტს გამართავს საარტისტო საზოგადოების დარბაზში.

◆ **სახელოსნო** სასწავლებლის დირექტორი მომავალ ზაფხულს აპირებს წაიყვანოს **შეგირდები საზღვარ-გარედ** იქაურ ქარხნების დასათვალიერებლად. ტფილისის გამგეობამ ამ საქმისათვის გადასდო 6000 მანათი.

◆ **გზათა სანინისტრო** აპირობს შემოიღოს **ახალი ფორმა** რკინის გზაში მოსამსახურე პირთათვის.

◆ ტფილისის ბაღებისა და სკვერების **მუშები თხოულობენ ჯამაგირების მომატებასა და სადგომების გამართვას.**

◆ ქალაქის მოურავმა **ბ-ნმა ვერმიშევმა დაათვალიერა ავლაბრის ადგილები** და გამოარკვია, რომ მინგრელსკისა და ტფილისის პოლკები უკანონოდ სარგებლობდნენ დღემდის იმ ადგილებით, სადაც აქვთ გამართული საზაფხულო ბანაკები და სადაც თოფის სროლაში ვარჯიშობენ.

◆ გუშინ, 19 თებერვალს, ბატონ-ყმობის გადავარდნის დღეს, **სასწავლებლებში სწავლა არ ყოფილა.**

◆ დღეს სანიტარული კომისია, სახლის პატრონების თხოვნით, **დაათვალიერებს ნავთლუღის მიდამოებს.**

◆ ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა ეფინჯიანცმა გამგეობაში შეიტანა განცხადება, რომ 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანონ სესხი 4300 მან. **პუშკინის სამკითხველოს შენობის დასამთავრებლად.** გამგეობამ დაადგინა, ეს ფული სამკითხველოს ფონდიდან ისესხოს.

◆ **ქალაქის სახელოსნო სასწავლებელთან** აპირობენ შეგირდებისთვის **სადგომი სახლის აშენებას,** ვინაიდან შემჩნეულია, რომ შეგირდები ხელმოკლეობისა გამო ხშირად ფულის საშოვნელად ქარხნებში მუშაობენ.

◆ მემკვიდრის დაბადების გამო მანიფესტის ძალით ყოფილა **ნაპატიები** ტფილისში მცხოვრებთაგან უკვე **გადახდილი** 29,667 მ., 17 კაპ. მსურველს შეუძლია დაიბრუნოს ზედ-მეტი გადახდილი ფული, ან მომავალ წლის გადასახადში ჩაირიცხოს.

◆ 17 თებერვალს ქალაქის მოურავს ბ-ნ ვერმიშევს წარუდგა მამუკინის სოფლის დეპუტაცია. დეპუტაციამ, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ სოფელს არა აქვს სასმელი წყალი და მცხოვრებნი იძულებულნი არიან იხმარონ მტკვრის უსუფთაო წყალი. ჩვენი ცოლები წყლისთვის შუა მდინარეში შედიან, ცივდებიან და უდროოდ იხოცებიანო,—უთქვამს დეპუტაციას,—ჩვენში ვერ ნახავთ ისეთ კაცს, რომელსაც მეორე, მესამე ცოლი არა ჰყავდეს, და ჩვენი სასაფლაოც ქალების საფლავებითაა სავსეო. ქალაქის მოურავი დაპირდა მამუკელებს, ვეცდები და წყალს გამოგიყვანთო.

ოფიციალური ცნობა.

გაზ. «კავკაზ»-ში დაბეჭდილია შემდეგი: „უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში გურიაში (ქუთაისის გუბერნია, ოზურგეთის მაზრა) და იმის მეზობლად მდებარე მიდამოებში თავი იჩინა გლეხთა აგრარულმა მოძრაობამ მემამულეთა წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ კი ეს მოძრაობა გარდაიქცა მთავრობის საწინააღმდეგო აშკარა მღელვარებად, რომელსაც მოჰყვა რამდენიმე პოლიტიკური მკვლელობა და მოკვლის განზრახვა მთავრობისა, საზოგადოებრივ თანამდებობისა და სასულიერო წოდების მოხელეთა, აგრეთვე ავაზაკობა, თავ-დასხმა, გადაწვა და სხვ.; თუმცა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ყოველგვარი ღონისძიება მიიღო მცხოვრებთა დასაწყნარებლად, მაგრამ ვერც ერთმა ამ ნაირმა ღონისძიებამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა; მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა არამც თუ არ შეწყვეტილა, პირიქით, ეხლა კანონიერ წესის წინააღმდეგ აშკარა ამბოხებად გარდაიქცა. ამის გამო კავკასიის უმაღლესი მთავრობა იძულებული შეიქმნა მიეღო საგანგებო სასტიკი ღონისძიებანი, რათა აღადგინოს სახელმწიფო წესიერება და საზოგადოებრივი მყუდროება. 18 ამა თებერვალს გამოიცა ბრძანება № 15-თ მთავარ-მართებლის სამოქალაქო ნაწილის სამმართველოსგან, რომლის ძალითაც ოზურგეთის მაზრა (ქუთ. გუბ.) და კინტრიშის ნაწილი (ბათუმის მხარე) განცალკევებულ იქმნენ ქუთაისის და ბათუმის სამხედრო გუბერნატორობის მმართველობისაგან და დაემორჩილნენ, სამოქალაქო მართვა-გამგეობის მხრივ, სანამ ხსენებულს ადგილებში არ იქმნება აღდგენილი სრული წესიერება და მყუდროება, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში ჩარიცხულს გენ.-მაიორს ალიხანოვ-ავარსკის, რომლის განკარგულებაშიაც გაგზავნილ იქმნა ჯარის განსაკუთრებული რაზმი. სანამ სამხედრო ძალას მიჰმართავდნენ, მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენ. მალამამ საჭიროდ სცნო მიჰმართოს უკანასკნელ საშუალებას,—ჩააგონოს მცხოვრებთ და დაარწმუნოს, რომ დაემორჩილონ კანონსა და დაწესებულ მმართველობას საგანგებოდ გაგზავნილ კაცის საშუალებით. ამ აზრით გენ. ლეიტ. მალამამ გაჰგზავნა ოზურგეთის მაზრაში კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი, ტაინი სოვეტნიკი ნ. ი. სულთან-ყირიმ-გირეი, რომელმაც უნდა დაიაროს გურიის ყველა სოფლის საზოგადოებანი, გაიცნოს მცხოვრებთა საჭიროება გამოარკვიოს მიზეზი მცხოვრებთა უკმაყოფილებისა და გამოუცხადოს მათ, რომ ყველა კანონიერი და შესაწყნარებელი შუამდგომლობანი, თუ იგი მთავარმართებლის უფლებას არ აღემატება, დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებულ იქმნება, ხოლო ისეთი შუამდგომლობანი, რომელიც მთავარ-მართებლის უფლებას აღემატება, ხელმწიფე იმპერატორს მოხსენდება“.

სადღეისო

გამოფხიზლება.

ომის საზარელ ხმაზე გამოფხიზლდა ქვეყანა. მძინარე, მოდუნებული საზოგადოება ვერ ახერხებდა სიცოცხლეს, სიკვდილის ძილი ემჩნეოდა ყველაფერს...

მონად ქცეული ადამიანი ყველაფერს სხვის ბრძანებას ელოდა და ამ ბრძანების თანახმად იქცეოდა ყოველთვის.

გვეუბნებოდნენ:

— გაჩერდით!

ჩვენც მორჩილად გავჩერდებოდით ხოლმე და ვუცდიდით ახალ ბრძანებას.

— იარეთ!

ამის გაგონებაზე ტიკინებივით გადავდგამდით ფეხს, მაგრამ ცალი თვალი უფროსისაკენ გვეჭირა, გვეშინოდა ნამეტანი არ მოგვივიდეს სიარული, არ გაგვიჯავრდეს ამაზე.

ეს დიდი ხნის ამბავი როდია, შარშანაც ამნაირად იყო მოწყობილი საზოგადო ცხოვრება.

გვიბრძანებდნენ „ვაშას“ ძახილს და ჩვენც ვიძახდით „ვაშას“ და ტაშსაც ვუკრავდით უფროსების სასიამოვნოდ.

ვყვიროდით გატაცებით, თუმცა ეს გატაცება იყო ნაძალადევი. ქუჩა-ქუჩა დავდიოდით და ვაქებდით იმას, რისი ქებაც ნაბრძანები გვქონდა უფროსისაგან.

და ასე მიდიოდა ჩვენი საზოგადო ცხოვრება, სანამ არ გავიგონეთ:

— გეყოფათ!

და აქაც ისევე დავემორჩილეთ ბრძანებას, გავჩუმდით.

ამასობაში შორს, იაპონიისკენ ზედიზედ იღუპებოდა რუსების ძლიერი გემები,—უკან იხევდა რუსის ჯარი, რომელიც წინად ყოველთვის უძლეველი გვეგონა...

გაკვირვებული, თავზარდაცემული ვეკითხებოდით ერთმანერთს:

— ნუ თუ დამარცხებაა! დამარცხდა რუსეთი?

შეგვრცხვა ჩვენი გუშინდელი ვაშას ძახილი და გატაცება...

ჯერ გაუბედავად, მერმე თანდათან უფრო ძლიერად მუშაობდა ჩვენი გონება. თვალებზე აფარებული აპკა სკდებოდა, დავინახეთ საშინელი სინამდვილე აშკარად და... შეგვრცხვა.

შეგვრცხვა და მხოლოდ ვეკითხებოდით ერთმანერთს:

— როგორ ვახერხებდით ამდენხანს ამნაირ ცხოვრებას?

და უცებ მოხდა სასწაული,—ტბორე, უმოძრავო, უსიცოცხლო ტბორე... დაიძრა...

აზვირთდა წყალი, ტალღა ტალღას ეცემოდა, იმატა ღელვამ, ჩვენ გარშემო საშინელი ღრიალი ისმოდა... მივხვდით მაშინვე, რომ ირღვეოდა მონობა, რომ ცხოვრებაში გამოდიოდა ახალი ადამიანი,—თავისუფალი, მხნე და ძლიერი.

ერთმა მხატვარმა დახატა უცნაური სურათი,—ფურთქნის დროს აღელვებული ზღვა საშინელ ტალღებს ისვრის. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, ხელიხელ ჩაკიდებული, მხნედ და გაბედულად ებრძვის ტალღებს,—თვალებში რაღაც აღფრთოვანება და გატაცება ეტყობათ.

ორივე დაიღუპება უთუოდ ზღვაში.

იციან ესა, დარწმუნებულნი არიან, მაგრამ

იწყო ფულის ძებნა, მაგრამ ცოტა ხანში ეს წყაროც დაშრა, ვინაიდან ფულის პატრონებმა შეატყეს საფრანგეთის ხაზინას სისუსტე და ფულის სესხებაზე უარი განაცხადეს.

ამნაირ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი მთავრობა შეიქმნა იძულებული რჩევის საკითხავად მოეწვია საერო კრება,—იმედი, ჰქონდა, რომ ხალხი არ მოისურვებს დასტოვოს ხაზინა უფულოდ და განაცხადებს თანხმობას ახალ გადასახადის შემოღებაზე.

ასეთი საშუალება,—საერო კრების მოწვევა,—არა ერთხელ უცდიათ წინადაც საფრანგეთის მეფეებს და ყოველთვის ხალხი ზურგს უმაგრებდა მეფეს და გადასახადის სახით საჭირო ფულსაც აძლევდა.

მაგრამ ეხლა გაუცრუვდა მოლოდინი მთავრობას,—საერო კრება თვით მთავრობის მოწინააღმდეგე შეიქმნა და ამ წინააღმდეგობით გამხნევებული პარიზი აჯანყდა...

მიზეზიც ჰქონდა.

საფრანგეთში იმ დროს დახშული იყო საზოგადო და კერძო ცხოვრების თავისუფლება, ჟურნალ-გაზეთობას არ შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის შესახებ, ხალხი, დამონებული, მონობას შეჩვეული, ვერ ჰბედავდა ხმის ამოღებას თავის მრავალნაირ მოთხოვნილებათა შესახებ.

მთავრობა მხოლოდ ერთს, ხალხის უმცირეს ნაწილს უადვილებდა გამდიდრებას სხვადასხვა მფარველობითი კანონის გამოცემით. ხალხის უმეტესობა კი ამასობაში თანდათან ღარიბდებოდა, ზოგან უბრალო დღიური ლუკმა პურის შოვნაც გასაჭირი შეიქმნა...

თითქმის მთელი საფრანგეთის ადგილ-მამული ჰქონდა საკუთრებად თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას და იქ, სადაც ამ ადგილებს ამუშავებდა ხალხი, მესაკუთრე უზომო ღალას ან იჯარას ართმევდა. თავად-აზნაურობასა და სამღვდელოებას სიმდიდრის გარდა ჰქონდა კიდევ მინიჭებული მთავრობისაგან სხვადასხვა პრივილეგია, რომელიც უადვილებდა ცხოვრებას და რომელსაც იყო მოკლებული ხალხის უმეტესობა.

საზოგადოდ ყველგან და ყველაფერში ხალხის უმეტესობა რჩებოდა დაჩაგრული სხვებისგან, და ხალხიც ყველაფერს აბრალებდა, რასაკვირველია, მთავრობას.

წარსულის მაგალითი, ხალხის თვალში, ამტკიცებდა აშკარად, რომ არ შეუძლიან ხალხზე დაშორებულ სახელმწიფო მოხელეებს გაიგონ მისი ნამდვილი საჭიროება. ასეთი ცხოვრება ხალხისათვის აუტანელი შეიქმნა კიდევ იმიტომ, რომ პოლიცია იყო სახელმწიფოში ნამდვილი ბატონი, რომ ადამიანის ქონება, მისი თავისუფლება და სიცოცხლეც დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორის თვალით უყურებდა მას პოლიციელი.

მთავრობის შევიწროვებულმა მდგომარეობამ უფულობის გამო გაამხნევა ხალხი, საერო კრება მტკიცე და გაბედულის კილოთი ატყობინებდა მეფეს ხალხის სხვადასხვა სურვილებს და ითანხმებდა ყველაფერზე, მაგრამ მეფის მახლობლები ცდილობდნენ მოესპოთ, შეესუსტებინათ კრების გავლენა მეფეზე. ეუბნებოდნენ,—თვითმპყრობელი მეფე ხარ და საფრანგეთში ყველაფერი შენს ნებაზე უნდა იყოსო და არა ვიღაც ხალხის წარმომადგენელთა ნებაზე.

მეფე სუსტი ხასიათის პატრონი აღმოჩნდა,—საერო კრებაში, კრების დინჯ და გადაჭრილ სიტყვა-პასუხს რომ ისმენდა, გულწრფელად ემხრობოდა ხალხის წარმომადგენლებს და გულწრფელად ჰპირდებოდა ყველაფრის შესრულებას,—მაგრამ შემდეგ, კრებიდან გამოსული რომ მახლობლებში რჩებოდა მარტო და მახლობელნი ათასნაირ ჭორის გადაცემით და ცბიერ ლაპარაკით რომ ცდილობდნენ მეფის გადმატერებას საერო კრებაზე, აქაც მეფე ისევე გულწრფელად თანხმდებოდა ხალხის დასაჩაგრავად, ხალხის დასამონავებლად საჭირო ზომების მიღებას.

აი, ამნაირ პირობებში აჯანყდა პარიზი. აქ, ჯერ ფარულად, და შემდეგ აშკარად აცხადებდა ხალხი თავის უკმაყოფილებას და ითხოვდა, გამოცვლილიყო დაუყონებლივ არსებული წეს-წყობილება. როგორც ხალხისთვის არა სასურველი და მავნე.

ამით დაიწყო ბრძოლა. მთავრობა და საზოგადოთ გაბატონებული წრეები ეომებოდნენ ხალხის უმეტესობას, ჯარი თოფს ესროდა თავისავე მოძმეს, ძმა ძმას ჰკლავდა... რისთვის, ვისთვის?—ამაზე თავის თავს ანგარიშს არ აძლევდნენ ჯარის კაცები.

სანამ ჯარი იცავდა არსებულ წყობილებას, აჯანყებული ხალხი მარცხდებოდა და უნდა დამარცხებულიყო უთუოდ.

მაგრამ მალე შეიცვალა მდგომარეობა. ჯარიც აჯანყებულების მხარეზე გადავიდა და მათთან ერთად თხოულობდა, საფრანგეთის საკეთილდღეოდ, სახელმწიფო წესწყობილების გამოცვლას.

ჯარის გადადგომამ დაამარცხა მმართველი წრეები და უზრუნველ ჰყო რევოლუციის გაბატონება საფრანგეთში, ჯარის გადადგომის დღეს აიმართა იქ თავისუფლების დროშა, რომლის დანახვაზე იმ დროს გაიმართა წელში ჩაგრული და ყოველივე უფლებას მოკლებული ხალხის უმეტესობა.

საერო კრება კი ამასობაში განუწყვეტლივ შრომობდა,—პირველად თუ ცდილობდა იგი მეფისათვის გამოეთხოვა ზოგიერთი საჭირო კანონის გამოცემა, ეხლა, როდესაც ქუჩაში სისხლის ღვრა მოხდა და მეფე წინააღმდეგობას უწევდა ხალხის სურვილებს,—ამ კრებამ თვით მეფეს წაართვა მეფობა.

საფრანგეთი უმეფოდ დარჩა,—საერო კრებამ დროებითი მთავრობა დანიშნა და ამით შემოიღო ახალი წესწყობილება მეფობის მაგიერად.

შორს, საფრანგეთის გარედაც გაისმა ხმა, რომ იქ, საფრანგეთში, ხალხმა მეფის სამაგიეროდ მმართველებად ამორჩეული პირები დააყენა და რომ ამნაირად იქ განხორციელებულია პრინციპი, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოში ხალხის გაბატონებას. ეს პრინციპი,—რუსსოს საზოგადოებრივ ხელშეკრულობის თეორიაზე აშენებული,—იმ დროს ყველას მოსწონდა.

მაგრამ საქმით ზოგიერთი ახალი წესწყობილების წინააღმდეგი შეიქმნა თვით საფრანგეთში და მის გარეთაც, იქ, სადაც ჯერ კიდევ მაგრად იყო ფეხმოკიდებული თვითმპყრობელობა. თავისიანი თავიანს მიემხრო, ევროპის რამოდენიმე სახელმწიფომ დაუწყო საფრანგეთს ომი,—უნდოდათ ძალით აღედგინათ უწინდელი წესები და ახლად განთავისუფლებული ერი ლუდოვიკო მეფის ხელში დარჩენილიყო უწინდებურად.

ყველა მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ საფრანგეთი ვერას გზით ვერ შესძლებს მთელი ევროპის საწინააღმდეგო ომიანობას, მაგრამ გაუცრუვდათ მოლოდინი,—ხალხი ყველგან გამარჯვებული დარჩა.

სადაც ერი გატაცებულია თავისუფლების სურვილით, იქ მისი გაჩერება ან დამონება არ შეუძლია არავის და ამიტომ მთელი ევროპის შეერთებულმა ჯარებმაც ვერ სძლიეს საფრანგეთი.

ევროპის მეფეები ემტერებოდნენ საფრანგეთის რევოლუციას. შინ, საფრანგეთშივე მის სამტროდ გამოილაშქრა თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ. უწინდელ პრივილეგიებს მოკლებულმა ახალ მთავრობის განკარგულებით. ესენი ნატრობდნენ ძველი დროის დაბრუნებას, უწინდელ პრივილეგიებს.

გარედ, გარეშე მტერთან ბძოლაში, საოცარი სიმამაცე გამოიჩინა ჯარმა, შინაც კიდევ ახალმა მთავრობამ ძალით და საშინელ სიმკაცრით მოსპო ახლად შემოღებულ წესწყობილების მტრები.

ასეთი გამარჯვება საფრანგეთის თავმოყვარეობისათვის საკმარისი იყო, მაგრამ ისტორიამ საფრანგეთს კიდევ სხვა, უფრო დიადი გამარჯვება მიანიჭა,—ზნეობრივი გამარჯვება,—თავის უწინდელ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში.

საფრანგეთში შემოღებული ახალი წყობილება, რესპუბლიკა, და ის საფუძველი, რომელზედაც არის აშენებული ეს წყობილება, სახელმწიფოში ხალხის გაბატონების პრინციპი,—მაგალითი შეიქმნა ყველასთვის და ყველგან ევროპაში მოითხოვა ხალხმა მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების მართვა გამგეობაში და ყველგან მიაღწია საწადელს, ყველგან მთავრობა შეიქმნა იძულებული დაეთმო გამარჯვება ხალხისათვის.

ასეთი ცვლილება ევროპაში, რასაკვირველია, ვერ მოხდებოდა ერთბაშად,—საჭირო იყო ბევრი შევიწროვება, უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნა, რომ ყველგან გამოფხიზლებულიყო ხალხი და მეფისაგან ბატონობის მაგიერად მოეთხოვა ხალის ერთგულობა და სამსახური.

ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებში ხალხმა მოითხოვა და მიიღო საპოლიტიკო უფლება სხვა საშუალებით, უფრო მშვიდობიანად, ვიდრე საფრანგეთში, და ეგება ეს არის მიზეზი, რომ სხვაგან ხალხი რესპუბლიკის მაგიერად საკონსტიტუციო სამეფოებსაც დასჯერდა, ე. ი. ისეთ წესწყობილებას, სადაც ხალხისაგან არჩეული წარმომადგენლები აგრეთვე ერთად განაგებენ სახელმწიფოს საქმეებს.

საზოგადოდ ასეა ყოველთვის. ხალხი უფლებებს თუ თხოულობს და იღებს მაშინვე,—არ სჭირდება მათ მოსაპოვებლად შრომა ან ბრძოლა,—მაშინ იგი ნაკლებსაც სჯერდება, მაგრამ იქ, სადაც საამისოდ საჭირო ხდება სისხლის ღვრაც, ბრძოლა, ცხადია, რომ ხალხს აღარ შეუძლიან დაუსჯელად დასტოვოს თავისი მოწინააღმდეგე და გვერდით დაიტოვოს, როგორც თანასწორი უფლების მქონე.

საფრანგეთში რევოლუციის შემოღებას ბევრი სისხლის ღვრა დასჭირდა,—ამიტომ იქ მეფის უფლება სრულებით მოისპო,—სხვაგან არსად ყოფილა ასეთი გამწვავება და ამიტომ ხალხიც თავის სურვილებში უფრო ზომიერი გამოდგა.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ნათლად და გარკვევით გამოაცხადა, რომ საფრანგეთში ყველა ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი, რომ ყველანი ერთმანეთში თანასწორი უნდა იყვნენ, რომ ამიტომ უნდა მოსპობილიყო წოდებრივი ან სხვა რამე ამ გვარი პრივილეგია და რომ სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა თვით ხალხის ხელ

მაინც იმათ ნორჩ სახეზე იხატება ბედნიერება.

სახელი და დიდება ასეთებს!

გესმით! იწყება ბრძოლა...

ადამიანი შეებრძოლა ბუნებას, ადამიანის გულში გაიღვიძა ბედნიერების სურვილმა, ბრძოლის სურვილმა... აღსდგა ადამიანი!

ის დამპალი ტბორე, რომელშიაც წინედ იფლობოდა ადამიანი, ვერ იჭერს მას და ადამიანი, გამარჯვებული, ნაპირზე გამოდის და მხიარულად ყვირის:

— თავისუფლება!

ამ ძლიერ ძახილზე გაიღვიძა აქაურობამ.

ყაზახები აყაყანდნენ, უკვირდათ, როგორ მოახერხა ადამიანმა მათ დაუკითხავად, ნება-დაურთველად ნაპირზე გამოსვლა...

ათასი საძაგელი და საზიზღარი არსება, ჯოჯოხეთის მსახურნი, სიბნელეს და არარაობის მოტრფიალენი მივარდნენ ადამიანს, ცდილობენ დაიჭირონ, ჩააგდონ ისევ ტბორეში, რომელსაც ეს ეს არის, მოშორდა...

ბრძოლა იზრდება...

ადამიანმა იგრძნო გულში თავისუფლების სიტკბოება და ამ საზიზღარ ბრბოსთან ბრძოლას არაფრად აგდებს...

ძლიერის ხელით ანარცხებს მტერს—მონობის ჯაჭვები წყდება, იმსხვრევა და ადამიანის ფეხქვეშ ვარდება...

ადამიანის მტერი მრავალია და ძლიერი, ბრაზმორეული ცდილობს ისევ გაბატონებას.

და უხარიათ ბაყაყებს, იმედი აქვთ, რომ დამარცხდება ადამიანი. იმხიარულონ! იყიყინონ გამარჯვების ხმაზე, საზარელია მათი ყიყინი უსიცოცხლო ტბორეში...

გამოფხიზლდა ადამიანი და არავითარ ყიყინს, არავითარ ძალას აღარ შეუძლია მისი შეშინება და გაჩერება.

ვისაც უგრძვნია ერთხელვე სიტკბოება ბრძოლაში, ვისაც მოხვედრია თავისუფლების სუნი, —იმისი გაჩერება, უკან დახევა აღარ შეუძლია არავის, ვინაიდგან აღარ ისურვებს ასეთი ადამიანი ტბორეში ჩასვლას, ტალახში ჩაწოლას და ძილს, დაუსრულებელ ძილს ბაყაყების ყიყინზე...

და ტბორეს ყველა ძალა რომ შეერთდეს და გამოვიდეს საბრძოლველად, —მაინც გამარჯვებული დარჩება ადამიანი.

ბრძოლა! ბოლომდის ბრძოლა.

ბრძოლა იმათთან, ვინც აღუნებდა ცხოვრებას, ვინც ჰქმნიდა მონობას და ხრწნიდა საზოგადო ცხოვრებას.

და მოისპობა ყოველი უბედურება!

რა კარგია სიცოცხლე, როდესაც ისმის გარშემო ბრძოლის ხმა, როცა იმსხვრევა ჯაჭვები და თავისუფლებისაკენ მიისწრაფება ადამიანი.

გრ. სტარცევი.

(„ნოვოსტი“ № 37)

პრესსა

გაზეთი „რუსი“ საზოგადოდ ბევრსა სწერს მომავალ საერობო კრების შესახებ. ეხლანდელ დროს გაზეთი „საგულისხმო ხანას, ეძახის. რუსეთში ამ ჟამად ოთხი ძალა არის დაპირდაპირებული: მთავრობა, შეკავშირებული საზოგადოება, მუშა ხალხი და სარევოლუციო წრეები, —ამათში მხოლოდ უკანასკნელებს უნდათ ერთბაშად შემოიღონ რუსეთში ძირითადი ცვლილება, დანარჩენები უფრო თანდათანობის გზას არჩევენ, უნდათ არსებული წყობილება მხოლოდ შესცვალონ. რუსეთის საკეთილდღეოდ აუცილებლად არის საჭირო შეიცვალოს სრულებით არსებული წყობილება, როგორც უვარგისი, დასძენს გაზეთი.

მაგრამ რა უნდა შევცვალოთ, როდესაც ბიუროკრატიამ თვითონ მოსპო სახელმწიფო დაწესებულების არსებობა რუსეთში. რომ ყოფილიყო ნამდვილი ადმინისტრაცია, შესაძლებელი შეიქნებოდა განა პეტერბურგში მომხდარი სისხლის ღვრა ან ბაქოს სასაზარელი ამბავი?

ძლივს-ძლივობით მოახერხა სამხედრო უწყებამ ერთი წლის განმავლობაში ექვსასი ათასის ჯარის-კაცის შეკრება მანჯურიაში, როდესაც ჩვენ ყოველთვის თავი მოგვქონდა და გვეგონა, ვითომც 6 მილიონზე მეტი ჯარის გამოყვანა შეგვიძლიან საომრად. ძლივს მოახერხა საზღვაო უწყებამ რამოდენიმე გემის შეკეთება და მაინც კიდევ იაპონელებზე სუსტი ვართ ზღვაზე.

მაგრამ სად არის ყველა დანარჩენი უწყება, რომელიც ერთად შეადგენს მთავრობას?

ფინანსების სამინისტრო? მაგრამ ეს სამინისტრო ხომ უბედურ ომის ხაზინადარი შეიქმნა, ცდილობს ფულის შოვნას და ვერ ახერხებს, —ძალა-უნებურად უნდა ისევ ისესხოს სადმე. ვაჭრობა-მრეწველობა შესუსტდა, გერმანეთის სავაჭრო ხელშეკრულობა ახრჩობს რუსეთის მეურნეობას.

საგზაო სამინისტრო? მაგრამ რუსეთში ეხლა 170 ათასი ვაგონი, დატვირთული ხორბლით, ერთ ადგილას არის გაჩერებული, ვერ ჩაუზარებიათ დანიშნულებისამებრ; მუშა ხალხი თავს ანებებს სამსახურს და რკინის გზებზე მატარებლების წესიერი მიმოსვლა შეწყვეტილია...

სწავლა განათლების სამინისტრო ხომ სულაც დაავიწყდა ამ არეულობის დროს რუსეთის საზოგადოებას...

ან შინაურ საქმეთა სამინისტრო... მაგრამ აქ, ახალ მინისტრის შესახებ ჯერ არა ითქმის-რა, გარდა იმისა, რომ რუსეთში, ნიკოლოზ I სიტყვით, თუ განაგებდა ყველა საქმეს 40,000 დაბალი მოხელე, ეხლა ეს 40,000 მოხელეც არაფერს აკეთებს.

არც იუსტიციის სამინისტრო და სასულიერო უწყება იჩენს მეტ უნარს საქმეში...

საითკენაც უნდა გაიხედოს ადამიანმა, —ვერსად ვერ ხედავს მხნე მოქმედებას, გონიერ სიმტკიცეს. მთავრობის ძალა დაქსაქსულია, დარღვეული, არა სჩანს არსად.

აი სწორედ ასეთ მთავრობის საწინააღმდეგოდ მოქმედობს რუსეთში ამ ჟამად საზოგადოება და მუშა ხალხიც.

მთავრობას, თუ უნდა გაიგოს მთელი ხალხის სურვილი, თუ უნდა დააკმაყოფილოს იგი, — შეუძლია მოიწვიოს რუსეთში საერობო კრება, რომელიც შეიმუშავებს ყველა ღონისძიებას, რაც საჭიროა რუსეთის გამოსაბრუნებლად.

როდესაც ხალხი გამოუხიზლებულია და თხოულობს სხვა-და-სხვა უფლების მონიჭებას, მმართველმა უნდა დაუთმოს უთუოდ და თავისი პირადი თავმოყვარეობა შესწიროს საზოგადო კეთილდღეობას, —ამას ამბობდა ბისმარკი, რომელიც არაოდეს არ ყოფილა მთავრობის მტერი. ხალხს უნდა ჩვენგან სამსახური და არა ბატონობა, —ამბობდა იგივე ბისმარკი.

ასეთივე დრო დადგა ეხლა რუსეთისათვის! უნდა გავებედოთ, —ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის. ყველანი რაღაც საშინელ სიზმარში ვართ, —როგორ იქმნება ასეთი ცხოვრება, როდესაც რკინის გზაც ველარ მუშაობს და სახელმწიფოში მისვლა-მოსვლაც შეწყვეტილია...

დიდი შეცდომა, ქვეყნისათვის მავნებელი შეცდომა არის, როდესაც მოღალატედ მიაჩნიათ ისინი, ვინც ნამდვილად სამშობლოს ერთგულია და მისი თავგანწირული მოსამსახურე.

გაზეთის ამ სიტყვებს დიდი განმარტება აღარ სჭირია, გაზეთს დაეიწყებული აქვს მხოლოდ პოლიციისაგან და ყაზახებისგან ხალხის გამათრახება, ცემა-ტყეპა და ათასნაირი უბედურება, რომელიც მთელ რუსეთს დაატყდა

—

გაზ. „რუს“-ი თუ აცხადებს საერობო კრების საჭიროებას, დანარჩენი გაზეთები ცდილობენ უფრო გარკვევით გამოსთქვან თავიანთი აზრი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მომავალი კრება, მაგ. „ნოვოსტი“ ამბობს:

ხელმწიფეს არაოდეს არ შეუძლია თვითონ განაგოს მთელი სახელმწიფო, სხვის დაუხმარებლად, რჩევის უკითხავად.

საქმე ის არის, ვის ჰკითხავს რჩევას ხელმწიფე, ვის მოიწვევს, როგორც დამხმარეს, —ხალხისაგან არჩეულ და ხალხისთვის სანდო წარმომადგენლებს, თუ ისევ იმავე ბიუროკრატიას, ხალხის ცხოვრებაზე მოწყვეტილს, ხალხის სურვილების არ მცოდნე ჩინოვნიკობას.

საერობო კრება უწინდელ დროშიაც არა ერთხელ მოუწვევიათ რუსეთის მეფეებს, მაგრამ მაშინ ის კრებები ყოფილა შემთხვევითი და ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენლებს არ ჰქონდათ მინიჭებული გარკვეული უფლებები სახელმწიფო საქმეების შესახებ. ეს კრებები ხან მხოლოდ რჩევის მიმცემი ყოფილა, ხან მხოლოდ საჩივრებს აცხადებდა მთავრობის ადგილობრივ მოხელეთა თვითნებობაზე, მაგრამ ხშირად ხალხის წარმომადგენლები მეტსაც ახერხებდნენ, საერობო კრების დაყენებული იყო მეფედ ალექსი მიხეილის ძე, საერობო კრებები სცემდნენ ხალხისათვის საჭირო კანონებს.

დღეს საერობო კრებაზე თუ არის ლაპარაკი, ზოგიერთს უნდა ამ კრებას მიენიჭოს მხოლოდ მრჩეველის უფლება.

ამნაირ კრებას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. საერო კრება მხოლოდ მაშინ შეიქმნება ხალხისთვის სასარგებლო, თუ მას ექმნება უფლება თვალყური ადევნოს მუდამ სახელმწიფოში სხვადასხვა დაწესებულებას, შეუწყვეტლად იღებდეს მონაწილეობას კანონმდებლობის საქმეში, თუ იგი იქმნება რუსეთში როგორც მუდმივი, ბიუროკრატიაზე დამოუკიდებელი დაწესებულება.

ხალხის სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება კანონების საშუალებით შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ამ კანონების შემუშავებელი და გამომცემელია თვით ხალხისაგან არჩეული პირები და არა კაბინეთში ჩაკეტილი მთავრობის მოხელე.

ასეთი აზრი ამ ერთი გაზეთის აზრი როდია, მთელი რუსეთის განათლებული საზოგადოება იმავე მიმართულებას ადგია და მომავალი გვიჩვენებს, რანაირ სახეს მიიღებს ამ მოკლე ხანში რუსეთი.

რუსეთი

აწეწილ-დაწეწილი პირობები დღევანდელი რუსეთის ცხოვრებისა, რომელიც ერთხმად გაკიცხულია დღეს რუსეთის მთელი საზოგადოებისაგან, ამ სახელმწიფოს საზღვარ-გარეთაც გაკოტრებას უქადის, თუ ძირიანად არ შეიცვალა დახავსებული ბიუროკრატიული რეჟიმი. ამას ჰმოწმობს საზღვარ-გარეთის პრესა, რომელიც აფრთხილებს საზოგადოებას, რუსეთთან საქმის დაჭერა ამ ჟამად ძლიერ საშიში არისო. პრესის ყურადღებას მეტადრე რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა იქცევს ყურადღებას. ეჭვობენ, რომ რუსეთს შეეძლოს ყველა იმ ვალის გადახდა, რომელსაც კისრულობსო. ამ საერთო შიშს რუსეთის მეგობარ საფრანგეთის პრესაც უერთებს თავის ხმას და ურჩევს რუსის მთავრობას, არსებული წეს-წყობილების უვარგისობა შეიგნოს და ერის სასიცოცხლო ძალებს მისცეს თავისუფლად განვითარების ნება. („რუს.“).

— **პოლონელებს პოლონური სკოლაო**, განაცხადა ვარშავაში მომხდარმა კრებამ პოლონელებისამ, რომელსაც 1200 კაცი დაესწრო, მათ შორის საუკეთესო წარმომადგენლები ინტელიგენციისა. «არის ზოგიერთი ისეთი მოთხოვნილება, რომელსაც არავითარი გამორკვევა აღარ სჭირდება—ამას მთელი ერი თხოულობს: პოლონელების მხარეში—პოლონური სკოლა უნდა არსებობდესო». მაგრამ პოლონელების აზრით, პოლონურს სკოლას მარტო მაშინ ექმნება ძალა და მნიშვნელობა, როცა პოლონეთში თვითონ ერს ექმნება მინიჭებული საკანონმდებლო უფლება. დასასრულ კრებამ მოითხოვა პოლონეთში შეჩერდეს სწავლა იმ დრომდის, სანამ სკოლებში პოლონური ენის პროგრამა არ იქმნება შემუშავებული და შემოღებულიო. („რ. ვ.“).

უცნაური ამბები ხდება შიდა რუსეთშიაც. მაგალითად, სამარის გუბერნიის საერობო კრება თავიდანვე „ინცინდენტით“ დაიწყო. შეტაკება მოხდა თავად-აზნაურობის წინამძღოლისა და „მემარცხენეთა“ შორის. თავჯდომარემ ქანდარიდან გარეშე ხალხი დაითხოვა და მით ხალხს უფლების მცირე ნასახიც წაართვა, რომელსაც კანონიც იმეტებს მისთვის. რასაკვირველია, ამის წინააღმდეგი შეიქმნენ „მემარცხენი“ და რაკი მათ მომხრეების რიცხვმა თანდათან იმატა კრებაზე, მაინც თავიანთი გაიყვანეს. («რ. ვ.»).

ახირებული განკარგულება. მკითხველს ეხსომება, რომ გაზეთ „პრავოს“ ერთ-ერთს ნომერში ფრიად საყურადღებო წერილი იყო დაბეჭდილი პროფესორის ტრუბეცკოისა, სახელად: „ომი და ბიუროკრატია“. ავტორმა ჭეშმარიტის მამულიშვილის მოვალეობა შეასრულა, თავის საზოგადოების სატკივარს პირდაპირ თვალში შეხედა და დაანახვა ყველას, რომ მიზეზი დღევანდელ რუსეთის გაჭირებისა, უაზრო და უსამართლო სისხლის ღვრისა ბიუროკრატიული წესწყობილება არისო. ეხსომება მკითხველს ისიც, რომ ამ წერილის ზედგავლენით გვარდიის პრაპორშჩიკმა, შახოვმა, 6,000 მან. გადასცა კიევის უნივერსიტეტის საბჭოს თავ. ტრუბეცკოის სახელობაზე სტიპენდიის დასაარსებლად.

როგორ გგონიათ, რით გათავდა ეს საქმე? სტიპენდია მინისტრმა არ დაამტკიცა, რადგანაც სტიპენდიის დაარსების მოტივები მოუხერხებლად მიიჩნია. („რუსი“).

ქალთა საექიმო ინსტიტუტშიც მოხდა კრება, რომელსაც მთელი ინსტიტუტი დაესწრო და გადასწყვიტა, სწავლა შესწყვიტოს იმ დრომდის, სანამ რუსეთის დღევანდელი პირობები არ შეიცვლება. („რუსი“).

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

19 თებერვალი

ტოკიო. რუსის მარცხენა ფრთეზე საშინელი სროლა იყო 16 თებერვალსაც. იაპონელებს დიდი ზარბაზნებიც წაუწევიათ. გენერალ ნოგი ოქუს ლაშქარს შეუერთდა, რომელიც სცდილობდა რუსის ჯარისთვის უკან დასაწევი გზა გადაეჭრა. საშინელი ბრძოლა აუცილებელია ამ დღეებში.

ტოკიო, 18 თებ. ოფიციალურად. როგორც ეტყობა, რუსის რაზმს, რომელიც იაპონელების წინააღმდეგ მოქმედობს შენჩენთან, თან-და-თან აძლიერებენ ბენსიხოს მხრით. იაპონელებმა პოზიციები დაიჭირეს კაოტულინის უღელტეხილისა და ჩანკოუს აღმოსავლეთად. რუსის რაზმმა ვაიტოშანთან აქა-იქ უმნიშვნელო იერიშები მიიტანა. ხუნხეს მარცხენა ნაპირს იაპონელებმაც იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუ-იქცნენ. ჩანტაისა და შუფანტაისს რუსები იძულებულნი იყვნენ უკან დაეწიათ. გუშინდელს აქედ იაპონელები ყუმბარებს უშენენ დიდ ზარბაზნებით მთლად რუსის ფრონტს.

სახეტუნი, 18 თებ. იაპონელებს იერიში მოჰქონდათ ჩვენის მარცხენა ფრთის, პოზიციებზე, მაგრამ ვერას გახდნენ.

გენერალ კუროკის ლაშქარი, 17 თებერვალი. ომში იაპონელები იმარჯვებენ. ეხლა იმათ რუსების ადგილი უჭირავთ მაღლობებზე შახეს იქით (რეიტერი).

ტოკიო, 18 თებერვალი. იაპონელები დიდზარბაზნებით ყუმბარებს ესვრიან რუსების უმთავრეს პოზიციებს. რუსების მრავალი პოზიცია კარგად არის გამაგრებული და იმათი აღება არ შეიძლება, თუ რომ ალყა არ შემოარტყეს.

ლონდონი, 18 თებ. რუსეთის მთავრობას 65.000 გირვანქა სტერლინგი მოსთხოვეს მეთევზეების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც დაზალდნენ ჩრდილო ზღვაზე.

პარიჟი, 18 თებერ. 25 სავაჭროების სამმართველოებმა საჩივარი განუცხადეს გარეშე საქმეთა მინისტრს, საფრანგეთის მრეწველობა დიდად ზარალობს რუსეთ-იაპონიის ომის გამოო.

სახეტუნი, 18 თებ. ღამის 4 სათ. 30 წუთი. მთელი ღამე ბრძოლაა. მარცხენა ფრთეზე დილიდგანვე იაპონელები გარშემოვლასა სცდილობენ დიდის რაზმებით ქილინპუსთან- ზარბაზნის სროლა მოისმის. საშინელი ქარიშხალი დასავლეთიდგან მტვრის ღრუბლებს მიაქანებს. ბრძოლა მთელს ფრონტზედ ომის გადამწყვეტელი უნდა იყოს.

ოქუს უმთავრესი ბანაკი, 18 თებ. (რეიტ.). უიტომანთან იაპონელებს სულ 30 კაცი მოაკლდათ. მარჯვენა ფრთეზედაც მცირე დანაკლისია, შედეგთან შედარებით. გაშლილ მინდორზე მდგომი პოლკები დღე ღამე მებრძოლნი დიდს გაჭირებასა და განსაცდელში არიან.

ბერლინი. იმპერატორის სურვილით, ამერიკის ელჩი ბერლინში ტაუერი მოწვეულია კილის დღესასწაულებზე. ამბობენ, ამ მოწვევით იმპერატორს მეგობრული გრძნობა უნდოდა გამოეხატნა ამერიკისათვისო. რეიხსტაგში წინადადება იქმნება შეტანილი, რომ 55 მილიონი გადაიდოს აფრიკის ექსპედიციისათვის.

ჰელსინგფორსი, 17 თებერვალს სადამოს სამი კარგა ჩაცმული უცნობი კაცი დაეცა პოლიციის დარაჯს. კასტეტი დაარტყეს და დარაჯი წააქციეს. მერე ზედ შესდგნენ, კასტეტებითა სცემეს და რევოლვერიც დაახალეს. ბოროტგანმზრახველნი გაიქცნენ.

პეტერბურგი, 17 თებერვალი. ოფიციალურად. სამეურნეო რჩევის მეათე სესსის დაწყებისათანავე მიწად-მოქმედების მინისტრმა აღნიშნა განსაჭირი განსაცდელი, რომელიც რუსეთს დაატყდა, და წარმოსთქვა, იმედია, რუსეთი კვალად მშვიდობიან წარმატების გზას დაადგება, რისთვისაც საჭიროა დაკმაყოფილებულ იქმნას მოთხოვნილებანი ქვეყნის უმთავრესის წარმოებისა—მეურნეობისა. რჩევის ათის წლის არსებობამ დაამტკიცა მისი სარგებლობა, ხოლო ცხადია, რომ რჩევა უნდა იყოს შემდგარი არჩეულების სისტემით ისეთ წევრებისაგან, რომლებიც უნდა ირჩეოდნენ ერობათა და სამეურნეო საზოგადოებათაგან. 4 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის დებულებით, მინისტრს მინდობილი აქვს წარუდგინოს სახელმწიფო საბჭოს შესაფერი კანონპროექტი. იმედია, რომ პროექტი სანქციას მიიღებს ამავე საკანონმდებლო სესსიაში, რის გამო სამეურნეო რჩევამ უნდა ეხლავე განსაჯოს, რამდენი წევრია საჭირო, რომელ გუბერნიებიდან და სხვა საჭიროებანი, აგრეთვე რჩევის სამუდამო ბიუროს დაარსების შესახებ. რჩევამ ერთხმად მოიწონა ძირითადი აზრი მინისტრის განცხადებისა არჩევნების შესახებ და გადასწყვიტა, ჯერ კერძო კრებებზე იქონიოს მსჯელობა ამ საგნის გამო. გამოირკვა, რომ სასურველია და 35—40 წევრი იყოს მოწვეული და წევრები ყოველ წელს არ იცვლებოდნენ.

მოსკოვი, 18 თებერვალი. ქალაქში დიდი მღელვარებაა, რადგან 19 თებერვალს დემონსტრაციას მოელიან. ბანკის მოხელეები გაიფიცნენ, რომ დაბალ მოსამსახურეებს ჯამაგირი მოამატებინონ.

ბელგრადი, 18 თებერვალი. აქ ბალკანეთის ერების შეურაცხყოფად მიაჩნიათ ინგლისის განზრახულება, მიურცშტეგის მორიგების წინააღმდეგ, მაკედონიაში მშვიდობიანობა გუბერნატორებმა უნდა აღადგინონ ევროპიელთა კომისიების მონაწილეობითო. ეს აზრი ბოლგარიის პოლიტიკის ცდომილი ნაყოფია, იმ განზრახვით მოგონილი, რომ სერბია მაკედონიის საქმეში აღარ გარიოსო.

ლონდონი, 18 თებერვალი (რეიტერი). შეკითხვაზე სტატს-სეკრეტარ ფორმატერმა სთქვა, რომ მთავრობამ შეუკვეთა 194 ახალი ცამეტ დიუმიანი და ცხრა თვრამეტ გირვანქიანი იარაღები.

ბერლინი, 18 თებ. გაზეთების სიტყვით, ბერლინის ვაჭარ-მრეწველნი ძლიერ დიდს ზარალში არიან რუსეთის უწესოებათა გამო. სამი კვირაა, რაც ქარხნებისთვის თითქმის არაფერი შეუკვეთნიათ. მესამე დღეა რაც რუსეთში არც ერთი ამანათი არ გაგზავნილა.

ვარშავა, 18 თებ. ებრაელი გამომცემელნი, მწიგნობარნი და რედაქტორნი დეპეშას უგზავნიან კობეკოს, რომელსაც სთხოვენ ებრაულ სიტყვის თავისუფლებას.

პარიჟი, 17 თებ. (ჰავასი). პალატა. სამხედრო მინისტრი შეჰპირდა, სამხედრო სახელოსნოებში ისევ ვცდი რვა სათის სამუშაო დღის შემოღებასაო.

ვენა, 17 თებერვ. „ნეის-ვინერ-ტაგებლ.“ იუწყება ბოლგარიის თავადი მალე ესტუმრება ინგლისის სასახლესო.

ვენა, 18 თებ. მეფე მიიღებს ვენგერთა ყველა დასის მოღვაწეებს, მათს რიცხვში აპონის და ბანფისს.

ლონდონი, 18 თებ. გამოცხადებულია ცნობები იმის შესახებ, რომ სახალხო განათლების ხარჯი ამ წელს 416,000 გირ. სტერლ. მოიმატაო.

ლონდონი., 17 თებ. როდესაც პალატა დამატებითი კრედიტის განხილვას შეუდგა ფრიად ძვირო საგნებისათვის, სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, საერთაშორისო დამოკიდებულებათა გამოურკვევლობის გამო იძულებული ვიყავით სამხრეთ აფრიკაში ცხენები და ბარგის მზიდავი საქონელი გვეყიდნა, რომ იქიდგან ადვილად გადაგვეყვანა ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში. ეხლა კი შიში გაიფანტა და სამხედრო უწყება ხარჯს შეამოკლებსო. ზღვათა სამინისტროს ხარჯი 36,889,000 გირვანქა სტერლინგი უნდა ყოფილიყო, ეხლა კი 332,890,000 გირვანქამდის შემცირდაო.

პეტერბურგის ბირჟა 18 თებერვალი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,95
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	$37,67^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5^1/_4$—$6^3/_4$%
4% სახელმწიფო რენტა	$89^3/_4$
4%-ანი სახ. სესხი 1092 წ.	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხ. 1903 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	$86^1/_4$ მ.
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	393 „
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	323 „
5% გირ.-მომ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	$269^1/_4$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	$90^1/_4$
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
$4^1/_2$% გრავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	215

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი ალ. სარაჯიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 ([illegible]), ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) [illegible] 3) ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 (წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

◆ ახლად გახსნილი ◆
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

თხზულება ნ. ნიკოლაძისა
იაპონია
ფასი-20კ. აქვე იყიდება დიდი სურათი
შოთა რუსთაველისა ფ.-50კ.
ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.
(10—31—2)

Денисовский

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოლდენბრინი“ მ. ვ. ლებედევისა
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.
იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.
(0—6.—1)



лисъ, 19 февраля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრო“ ფრეილინის ქ. № 5.